საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№169 (10000) 2025 წლის 24 დეკემბერი, ოთხშაბათი

ქვეყანა, სადაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!

„დონ ლილუა“ – ეპოლეტებიანი ყაჩაღი

2

პროკურატურამ გრიგოლ ლილუაშვილი დააკავა!!!



იხ. 3 გვ.

„ქრისტიანოფობია“ – ევროპის მზარდი საფრთხე:

2000-ზე მეტი დანაშაული ერთ წელიწადში

კაია კალასი აღიარებს, რომ ცილის-მწამებელია!

6

10

პარონ იაკობაშვილის გაბრაყინება



იხ. 4 გვ.

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკის ლიანდაგზე

საქართველოზე გვერდის ავლით?!

7

მაგთიკომი MAGTICOM

შპს „მაგთიკომისა“ და მისი შვილობილი კომპანიის – შპს „დელტა კომის“ ერთობლივი განცხადება

...მოვუწოდებთ სს „ენერგოპრო პორჯიას“, ნუ დატოვებს მოსახლეობას ინტერნეტისა და ტელევიზიის გარეშე.

დღეს თქვენ მიიღეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეათიათასე ნომერი. მკითხველის თანადგომა ახალი წლიდანაც ძალიან გვჭირდება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ ქვეყნის უძველესი და უმთავრესი გაზეთი!

10000

გამოწერისთვის მიმართეთ–

„პლანეტა ფორტეს“: 599 32 48 00

„ელვა ჯის“: 595 03 36 07

ხელმოწერების დირებულება ყველა გამავრცელებელს მცირედით განსხვავებული აქვს, ამიტომ აქ მითითებულ ჩვენს კერძო პარტნიორებს უნდა დაუკავშირდეთ!

საქართველოს რესპუბლიკა | ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE | საქართველოს რესპუბლიკა

მოსთხოვე და უსაფრთხოდ მოგეცემა,

„დონ ლილუა“ – ეპოლეტებიანი ყაჩაღი

პროკურატურამ გრიგოლ ლილუაშვილი დაიკავა!!!

გენერალური პროკურორის გიორგი გვარაკიძის განცხადებით, გრიგოლ ლილუაშვილს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს და სასჯელის სახით 11-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გრიგოლ ლილუაშვილი დაკავებულია. ამის შესახებ საქართველოს პროკურატურაში გამართულ გრიფინგზე გენერალურმა პროკურორმა, გიორგი გვარაკიძემ განაცხადა. ლილუაშვილს რამდენიმე ეპიზოდში ადანაშაულებენ. მათ შორის არის ქრთამის აღება, ე.წ. ქოლცენტრები და საგავშვო ბაღების მართვის სააგენტოს შესყიდვები.

„საქართველოს გენერალური პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაკავებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, რომელსაც გრალად ედება ქრთამის აღება ჩვენს წარმოებაში არსებულ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში.

პირველი ეპიზოდი:

2022 წლის ოქტომბრის თვეში მან თურქი ინვესტორი ჩაღათაი ულქერისგან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის იმუამინდელი პირველი მოადგილის რომეო მიქაუტაძის მეშვეობით ქრთამის სახით აიღო მილიონი აშშ დოლარი, რათა მას ლობირება გაეწია ქარის ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისთვის.

მეორე ეპიზოდი:

2022 წლის თებერვლის თვეში, ამ შემთხვევაშიც რომეო მიქაუტაძის მეშვეობით, კომპანია ,,ექსპრესსერვისი 2008-ის'' დამფუძნებელ გიორგი ხაჟალიას გაზიფიკაციის ტენდერებში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა მილიონ ხუთასი ათასი ლარი.

მესამე ეპიზოდი

შეეხება 2021-2023 წლებს, როდესაც მიუხედავად ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული სამართლებრივი ბრძოლისა, ქვეყანაში მაინც რჩებოდა რამდენიმე ათეული თაღლითური ქოლცენტრი. მოწმეთა ჩვენებებით, აღნიშნული ქოლცენტრებიდან დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა პირთა ჯგუფს, რომლებიც მიღებული შემოსავლებიდან სხვადასხვა ოპოზიციურ მედიასაშუალებას აფინანსებდნენ, ხოლო ქოლცენტრების შედარებით მცირე ნაწილის ძირითადი მფარველი იყო გრიგოლ ლილუაშვილი, რომელიც ამ საქმიანობას მისი ნათესავის, სანდრო ლილუაშვილის მეშვეობით ახორციელებდა.

აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად გრიგოლ ლილუაშვილმა ქრთამის სახით, სანდრო ლილუაშვილის შუამავლობით, დაახლოებით 1 365 000 აშშ დოლარი მიიღო.

საზოგადოებას აქვე ვაცნობებთ, რომ ხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გამოძიება დანაშაულებრივ სქემაში ჩართული სხვა პირების მიმართ მტკიცებულებების მოგროვებასთან ერთად ინტენსიურად მუშაობს ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც გრიგოლ ლილუაშვილი სხვა თანამზრახველებთან ერთად უზრუნველყოფდა, რომ არ გამუღავნებულიყო ოპოზიციური მედიასაშუალებების დამფინანსებელი თაღლითური ქოლცენტრების არსებობა, ხოლო თავის მხრივ ოპოზიციური მედიასაშუალებები არ აშუქებდნენ ინფორმაციას ლილუაშვილის მფარველობის ქვეშ არსებული თაღლითური ქოლცენტრების არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს ინფორმაცია გააჩნდათ.

მეოთხე ეპიზოდი:

გრიგოლ ლილუაშვილი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ქრთამის აღების სანაცვლოდ, მფარველობას უწევდა თავის მეგობარს, თბილისის მერიის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ყოფილ დირექტორს კახა გვანცელაძეს, რომელიც საბავშვო ბაღების მიერ განსახორციელებელი შესყიდვების ხელშეკრულებების გაფორმებაში მეწარმე სუბიექტებისგან ქრთამის სახით განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებს, ე.წ. ატკატებს იღებდა. ლილუაშვილი-გვანცელაძის ხსენებულ დანაშაულებრივ სქემაში კახაბერ გვანცელაძეს ჩართული ჰყავდა სააგენტოს ფინანსური აღრიცხვისა და გაანგარიშების, ასევე მონიტორინგის თანამშრომლები. ყველა მათგანის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულია ასეულობით საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის დაკითხული არიან მოწმეები, რომელთა ჩვენებებითაც დასტურდება გრიგოლ ლილუაშვილის და სხვათა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ასევე ამოღებულია დანაშაულის დამადასტურებელი სხვადასხვა მტკიცებულება, მათ შორის ვიდეო და აუდიოჩანაწერები“, – განაცხადა **გიორგი გვარაკიძემ.**

გენერალური პროკურორის განცხადებით, გრიგოლ ლილუაშვილს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს და სასჯელის სახით 11-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. „პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. საქმეზე გამოძიება გრძელდება გრიგოლ ლილუაშვილის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოვლენის და მასთან ერთად სავარაუდო დანაშაულებში მონაწილე პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

ქართველი სამართალდამცველები ვაგრძელებთ კორუფციასთან ბრძოლას მის ისტორიულ მინიმუმამდე დაყვანის და მაქსიმალური პრევენციის მიზნით“!

◎ ნომრის ციტატები

სხვაში წასაგებად განწირული და ალიბად გადანახული...

გვარაკიძემ ბრიფინგზე თქვა, იმ ვერსიაზეც ვმუშაობთ, რომ ლილუაშვილი და ნაცები ქოლცენტრებში ერთმანეთს ხელს აფარებდნენო. პასუხად ნაცების ტელევიზიებმა ერთმანეთის მიყოლებით თავი იმართლეს და წუთებში „ქარდები“ გაამზადეს, 2022-ში ლილუაშვილმა მაგ საკითხზე დავა მოგვიგო სასამართლოშიო...

ამოცანა გვეკითხება, თაღლითური ქოლცენტრებიდან დაფინანსებულმა ნაცმედიამ რაზე გაამზადა მაშინ სიუჟეტები, რასაც მართლა მფარველობდა ლილუაშვილი თუ სხვა ქოლცენტრებზე? სხვაში წასაგებად განწირული და ალიბად სამომავლოდ გადანახული იგულისხმება!!! იმედია, გამოძიება ამით დეტალურად დაინტერესდება!..“

დავით ქართველიშვილი

ივანიშვილის კარზე ირაკლი კობახიძემ გაიმარჯვა

„შეთქმულების თეორიები, რომლებსაც ვისმენთ, აჩვენებს, რომ ირაკლი კობახიძემ გაიმარჯვა გიძინა ივანიშვილის კარზე და ძალაუფლება სრულიად აიღო. ლილუაშვილი სუს-ის უფროსი იყო და გიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი. ვფიქრობ, რომ ეს ამბავი თავად გიძინა ივანიშვილისთვის არ არის მარტივი. მაგრამ, თუ რამდენად გაუვიდა ბოლომდე ირაკლი კობახიძეს ძალაუფლების კონცენტრაცია, ამას მომავალ წელს ვნახავთ. ეს ყველაფერი აჩვენებს იმას, რომ ამ პროცესებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან არანაირი კავშირი არ აქვს. შესაძლოა, ამ ნაბიჯით კობახიძემ რაიმე რისკები გადააზღვია“.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, თეონა აქუბარდია ე.წ. „სამოტაუის საქმეზე“, „კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერის ზურა გირჩი ჯაფარიძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 30 000 ლარიან გირაოს შეფარდებასაც გამოეხმაურა. მისი შეფასებით, „სამოტაუის საქმის“ გააქტიურება მის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდება. ასევე, აქუბარდია მიიჩნევს, რომ ზურა ჯაფარიძემ შეფარდებული გირაოს თანხა უნდა გადაიხადოს.

თეონა აქუბარდია



„ქრისტიანოფობია“ – მტრობა, დისკრიმინაცია ან ძალადობა, რომელიც მიმართულია ქრისტიანებისა და ქრისტიანული სიმბოლოებისადმი მათი რელიგიური კუთვნილების გამო – არის ფენომენი, რომელიც ევროპაში სულ უფრო თვალსაჩინო და სერიოზული ხდება. „კანონისა და მართლმსაჯულების ევროპული ცენტრის“ (ECLJ) მიერ 1 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიში ხაზს უსვამს ხშირად სათანადოდ შეუფასებელ რეალობას: ანტიქრისტიანული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები (ფიზიკური, სამართლებრივი და სოციალური) იზრდება, რაც ღრმა გავლენას ახდენს კონტინენტზე მცხოვრები ქრისტიანების რელიგიურ თავისუფლებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

„ქრისტიანოფობია“ – ევროპის მზარდი საფრთხე:

2000-ზე მეტი დანაშაული ერთ წელიწადში

ანტიქრისტიანული სიძულვილი ევროპაში: ანგარიში მზარდი საფრთხის შესახებ გვაფრთხილებს!!!

ECLJ-მა და „ევროპაში ქრისტიანთა მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მონიტორინგის ცენტრმა“ (OIDAC) შეაგროვეს მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ 2024 წელს, 35 ევროპული ქვეყნის მასშტაბით, მინიმუმ 2,211 ანტიქრისტიანული დანაშაული გამოვლინდა, მათ შორის – 274 ფიზიკური თავდასხმა.

ეს ქმედებები ძალადობის ფართო სპექტრს მოიცავს: ვანდალიზმიდან და ეკლესიების შეურაცხყოფიდან დაწყებული, ცეცხლის წაკიდებით, პირდაპირი მუქარითა და მძიმე ფიზიკური ანგარიშსწორებით დასრულებული.

ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ტრაგედია 1 სექტემბერს ლიონში ქრისტიანის, აშურ სარნაიას მკვლელობა იყო, რომელსაც სოციალურ ქსელში პირდაპირი ეთერის დროს, რწმენის გამო დაესხნენ თავს. ეს იყო მკვლელობა, რომელსაც მედიამ, კონსერვატიული და ქრისტიანული პლატფორმების გარდა, დუმილით უპასუხა.

აგრესიის ეს დონე ცალკეული შემთხვევა არ არის, იგი ბოლო წლებში მიმდინარე მზარდი ტენდენციის ნაწილია, რაც ევროპაში ანტიქრისტიანული ძალადობის მატებაზე მიუთითებს.

ECLJ-ის ანგარიში ანტიქრისტიანული ქმედებების ტიპოლოგიას ადგენს. ვანდალიზმი მტრობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა; საჯარო სივრცეებში ეკლესიები და რელიგიური სიმბოლოები რეგულარულად ხდება თავდასხმის საგანი. ქმედებების მნიშვნელოვან ნაწილს საკულტო ნაგებობებზე ცეცხლის წაკიდება წარმოადგენს, ხშირად პასუხისმგებლობის ყოველგვარი პირდაპირი აღიარების გარეშე.

იმატებს სიწმინდეების შეურაცხყოფის ფაქტებიც: ბევრი წმინდა ადგილი განზრახ იბილწება, იპარავენ ან ანადგურებენ ჯვრებს, ლუსკუმებსა და სხვა წმინდა ნივთებს, რაც ქრისტიანულ თემებს სიმბოლურ მემკვიდრეობას ართმევს. თუმცა, ყველაზე სერიოზულ პრობლემად მუქარისა და ძალადობის ზრდა რჩება: მლოცველები, მღვდლები და რელიგიური ლიდერები დაშინების, ფიზიკური თავდასხმებისა და, ზოგჯერ, მკვლელობის მცდელობის სამიზნეებიც კი ხდებიან.

თავდასხმების მეთოდების მრავალფეროვნება აჩვენებს, რომ ქრისტიანოფობია ცალკეული შემთხვევებით არ შემოიფარგლება. იგი ვლინდება მორწმუნეებზე, მათ სალოცავებსა და წეს-ჩვეულებებზე თავდასხმებით, რაც სისტემატიური დევნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ECLJ-ის ანგარიში რამდენიმე ფაქტორს გამოკვეთს, რომელიც ქრისტიანების მიმართ მტრობის ამგვარ ზრდას ხსნის. სეკულარიზაცია და მებრძოლი სეკულარიზმი პირდაპირ უპირისპირდება ქრისტიანულ რწმენას. ზოგიერთ ქვეყანაში ძლიერი სეკულარული კულტურა ქრისტიანული სარწმუნოების ნებისმიერი საჯარო გამოხატვის უარყოფისკენაა მიდრეკილი, რადგან რელიგიურ სიმბოლოებს „ნეიტრალური“ საზოგადოების დაბრკოლებად მიიჩნევს. იდეოლოგიური ექსტრემიზმი იმ სეკულარიზაციით იკვებება, რომელიც ევროპული საზოგადოებების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ულტრამემარცხენე ჯგუფები, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგებიან ქრისტიანობასთან ასოცირებულ ტრადიციულ ღირებულებებს, ხელს უწყობენ მორწმუნეების სტიგმატიზაციასა და მარგინალიზაციას. ამავდროულად, ქრისტიანები რადიკალიზაციის მსხვერპლნი ხდებიან ისლამისტური ჯგუფების მხრიდანაც.

ეს ფაქტორები ერთობლივად ქმნიან კლიმატს, სადაც ქრისტიანების მიმართ სიძულვილი შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს, სათანადოდ არ შეფასდეს ან, ხშირ შემთხვევაში, ადეკვატური ინსტიტუციური რეაგირების გარეშე დარჩეს.

ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ფენომენის რეალური მასშტაბების არასათანადო შეფასებაა. ბევრი ქრისტიანი თავს არიდებს ანტიქრისტიანული ქმედებების შესახებ საუბარს, რადგან ეშინიათ, რომ მათ საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენაში ან „დაძაბულობის გაღვივებაში“ დაადანაშაულებენ. გარდა ამისა, თავად სახელმწიფო სტრუქტურები მიდრეკილნი არიან ამ ქმედებების „არასრული აღრიცხვისკენ“, რადგან ზოგიერთი მათგანი არ ჯდება „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის“ ოფიციალურ კატეგორიებში. მაგალითად, გერმანიაში ოფიციალურად მხოლოდ ის თავდასხმები აღირიცხება, რომლებიც „პოლიტიკურად მოტივირებულად“ არის მიჩნეული, რაც გამორიცხავს რელიგიური მოტივით ჩადენილ უამრავ ქმედებას.

ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ტრაგედია 1 სექტემბერს ლიონში ქრისტიანის, აშურ სარნაიას მკვლელობა იყო, რომელსაც სოციალურ ქსელში პირდაპირი ეთერის დროს, რწმენის გამო დაესხნენ თავს.

ფიზიკური ძალადობის მიღმა, ანგარიში ხაზს უსვამს საჯარო სივრცეში ქრისტიანების ფართომასშტაბიან მარგინალიზაციას. ქრისტიანები რელიგიური თავისუფლების შეზღუდვას განიცდიან. ზოგიერთ კონტექსტში, რელიგიურ პრაქტიკას ხელს უშლის არაპირდაპირი აკრძალვები ან ადმინისტრაციული სანქციები ისეთი მარტივი ქმედებებისთვისაც კი, როგორიცაა ჩუმად ლოცვა საჯარო დაწესებულების სიახლოვეს.

სოციალურ ან პროფესიულ დონეზე, ქრისტიანები შეიძლება საკუთარი რწმენის გამო დაისაჯონ ან გარიყონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მრწამსი კონსერვატიულად აღიქმება (მაგალითად: ოჯახის, აბორტის და სხვა საკითხებთან მიმართებაში). დისკრიმინაციის ეს, ზოგჯერ უფრო დახვეწილი ფორმა, ისეთივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეუწყნარებლობისა და გარიყვის თვალსაზრისით, როგორც აშკარა ძალადობა.

ECLJ-ის ანგარიში განსაკუთრებით ღირებულია, თუმცა ის ინსტიტუციურ შეზღუდვას აწყდება, განსაკუთრებით ევროპულ დონეზე: არ არსებობს სპეციალური მექანიზმი ქრისტიანოფობიის, როგორც რელიგიური სიძულვილის ცალკეული ფორმის, აღიარებისა და მასთან ბრძოლისთვის. რელიგიური სიძულვილის სხვა ფორმებისგან განსხვავებით (როგორიცაა ანტისემიტიზმი ან ისლამოფობია), არ არსებობს ევროპული კოორდინატორი, რომელიც სპეციალურად ანტიქრისტიანულ სიძულვილთან ბრძოლაზე იქნება ორიენტირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ფენომენის დოკუმენტირებული მასშტაბების მიუხედავად, ინსტიტუციური რეაგირება ხშირად ფრაგმენტული და არასაკმარისია, რაც თავად პრობლემის მარგინალიზაციას იწვევს.

ანტიქრისტიანული სიძულვილის ზრდასთან დასაპირისპირებლად, ECLJ-ის ანგარიში რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას იძლევა: გაუმჯობესდეს ანტიქრისტიანული ქმედებების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და შეტყობინების მექანიზმები უფრო სანდო და ყოვლისმომცველი სურათის მისაღებად; ქრისტიანოფობია ოფიციალურად იქნას აღიარებული რელიგიური შეუწყნარებლობის სპეციფიკურ ფორმად ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკაში;

გაძლიერდეს ქრისტიანების სამართლებრივი დაცვა როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე, განსაკუთრებით რელიგიის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების კუთხით. ეს ზომები მიზნად ისახავს ქრისტიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას დისკრიმინაციისა და ძალადობისგან. დექრისტიანიზაციამ ისინი ერთ-ერთ უმცირესობად აქცია მრავალთა შორის; უფრო მეტიც, ისინი წარმოადგენენ იმ უმცირესობას, რომელსაც დღეს, ხშირ შემთხვევაში, სხვაზე ნაკლები უფლებები აქვს.

გექა დანელია



ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მალე სრული დატვირთვით ამუშავდება, რასაც მოჰყვება მისი ოფიციალური გახსნა. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა პირველი არხის ეთერში განაცხადა.

„ძალიან მალე აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო აღნიშნავენ ისტორიული ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის გახსნას, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის. ამ პროექტის საზეიმო გახსნა მალე გაიმართება“, – თქვა მარიამ ქვრივიშვილმა.

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკის ლიანდაგზე

საქართველოზე გვერდის ავლით?!

მინისტრის თქმით, ქვეყნები უახლოეს წლებში საქართველოს რკინიგზაში დაახლოებით 1 მილიარდი ლარის (370 მილიონი აშშ დოლარი) ინვესტირებას გეგმავენ, რათა გააძლიერონ ქვეყნის სატრანზიტო როლი. ეს საქართველოს საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და საიმედო პარტნიორის სტატუსი, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და მაღალი ხარისხის ტვირთების გადაზიდვას.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში 2017 წელს შევიდა, თუმცა თავდაპირველად სატესტო რეჟიმში შეზღუდული გამტარუნარიანობით მუშაობდა. 2023-2024 წლებში, ხაზზე ჩატარდა სარემონტო და მოდერნიზაციის სამუშაოები, რის შედეგადაც გამტარუნარიანობა წელიწადში 5 მილიონ ტონამდე გაიზარდა. თუმცა, სატვირთო გადაზიდვებისა და მიმდინარე მშენებლობის კომბინაციის გამო, ხაზი სატესტო რეჟიმში რჩება. დაგეგმილი გამტარუნარიანობა წელიწადში 17 მილიონ ტონას მიაღწევს.

შუა დერეფანში ტრანზიტის ზრდისა და ალტერნატიული მარშრუტების პოტენციური გაჩენის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება ობიექტურად დაინტერესებულია BTK-ის დაჩქარებული და სრული ექსპლუატაციაში გაშვებით. პოტენციურ ალტერნატივებს შორისაა რკინიგზა ზანგეზურის დერეფანსა და მის სომხეთის მონაკვეთზე (TRIPP), რომლის განხორციელების ხელშეკრულება 2025 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა, ასევე ყარსი-გიუმრის და გაზახი-იჯევანი-დილიჟანის რკინიგზის გამოუყენებელი მონაკვეთების აღდგენის პროექტი.

ცოტა ხნის წინ, თურქეთისა და სომხეთის სპეციალურმა წარმომადგენლებმა ყარსი-გიუმრის რკინიგზის აღდგენისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ ტექნიკური კონსულტაციების მეორე რაუნდი გამართეს. ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები 2025 წლის 28 ნოემბერს შეხვდნენ თურქეთსა და სომხეთს შორის არსებულ აკიაკა-აჰურიკის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, ასევე ქალაქ გიუმრიში. მოლაპარაკებები გაიმართა „თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის ფარგლებში სპეციალურ წარმომადგენლებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში“.

სომეხი ექსპერტების შეფასებით, ყარსი-გიუმრის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება და 32.4 მილიონი დოლარი დაჯდება. ეს მონაკვეთი საბჭოთა კავშირის დროს ფუნქციონირებდა და მისი დაშლის შემდეგაც განაგრძობდა ფუნქციონირებას. 1993 წელს, სომხური ჯარების მიერ აზერბაიჯანის ქალაქ ქელბაჯარის ოკუპაციის შემდეგ, თურქეთმა შეაჩერა მისი ფუნქციონირება და დახურა საზღვარი სომხეთთან.

საერთო ჯამში, ყარსი-გიუმრის რკინიგზის აღდგენა საქართველოსთვისაც სასარგებლოა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს მონაკვეთი რუსეთის იმპერიის დროს აშენებული ტფილისი-ალექსანდროპოლის (გიუმრი)-ყარსის რკინიგზის ნაწილი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყარსი-გიუმრის ხაზის გახსნის შემდეგაც კი, სატრანზიტო მოძრაობა კვლავ საქართველოზე გაივლიდა.

თუმცა, სომხეთში რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც სერჟ სარგსიანის პრეზიდენტობის დროს იყო ხელისუფლებაში და პრორუსულად ითვლება, გოლო დროს აქტიურად დაიწყო რკინიგზის ტრანზიტისთვის საქართველოს „სრული გვერდის ავლით“, შემოვლითი გზის გამოყენების იდეის პოპულარიზაცია.

ცხადია, რომ სომხეთის რესპუბლიკური პარტია მუდმივად უჭერს მხარს რკინიგზის სატრანზიტო მარშრუტის შექმნას გაზახ-იჯევანი-დილიჟანი-გიუმრი-ყარსის მარშრუტის გასწვრივ. დიდი ალბათობით, ამ ვარიანტს რუსეთიც უჭერს მხარს, რაც გასაკვირი არ არის რუსეთში სომხური ლობის გავლენის გათვალისწინებით, რომელიც მჭიდრო კავშირშია სომხეთის რესპუბლიკურ პარტიასთან.

რუსული მხარე ასევე ვერ ხედავს ფინანსურ დაბრკოლებებს იჯევანისა და გიუმრის გავლით რკინიგზის ტრანზიტის დასაწყებად. როგორც ცნობილია, სომხეთის რკინიგზის ქსელის ოპერატორი, სამხრეთ კავკასიის რკინიგზა (SCR), რუსეთის რკინიგზის (RZD) 100%-იანი საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიაა, და ფინანსური რესურსების დეფიციტი არ აქვს. გარდა ამისა, RZD-ს ადრე ჰქონდა დაგეგმილი ვანაძორ-ფიოლეტოვოს მონაკვეთის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეამოკლებდა გიუმრის, დილიჟანისა და იჯევანის მარშრუტს. არსებული ვითარება დამატებით სტიმულს იძლევა ამ პროექტის განხორციელების დასაჩქარებლად.

თუმცა, გაზახი-იჯევანი-დილიჟანი-გიუმრი-ყარსის მარშრუტის საქართველოს გვერდის ავლით დასაჩქარებლად, საჭირო იყო „ბიძგი“ – მიზეზი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, სანდოობას. და, პარადოქსულად, ასეთი მიზეზი „კეთილგანწყობილად“ მოიყვანა თავად ქართულმა მხარემ – რკინიგზის ტვირთების გადაზიდვის სფეროში სატარიფო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა.

2025 წლის 5 დეკემბერს, გაზეთ „გოლოს არმენიი“-ში, სომხეთის რესპუბლიკურ პარტიაში „საქართველოს გვერდის ავლით“ ტრანზიტის ლოგირების შესახებ სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში გარკვეული ძალები რეალურად ამ ლოგიკას იყენებენ. ეს ეხება სატარიფო გადაწყვეტილებებს, რომლებიც არა მხოლოდ ეკონომიკურად გაუმართლებლად გამოიყურება, არამედ პარტნიორებსაც უბიძგებს, საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით ალტერნატიული მარშრუტები ეძებონ.

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანულმა მხარემ თბილისს ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნა გარდაბანი-სადახლოს მარშრუტით ნავთობპროდუქტების სომხეთში ტრანსპორტირებისთვის რკინიგზის ტრანსპორტირების ტარიფებთან დაკავშირებით. ლოგიკური და მოსალოდნელი იქნებოდა ტარიფის დადგენა, რომელიც შეედარებოდა აზერბაიჯანის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე დაწესებულ ტარიფთან. დაახლოებით, 680 კმ მანძილზე მსგავსი ტვირთისთვის, აზერბაიჯანი 17 დოლარს იღებს, რაც დაახლოებით, 0.02 დოლარია ტონაზე, 1 კილომეტრზე.

თუმცა, ქართულმა მხარემ სრულიად განსხვავებული მიდგომა შესთავაზა: ტვირთის ტონაზე 92 აშშ დოლარის ოდენობის ტარიფი მხოლოდ 111 კმ-იან მონაკვეთზე. ეს დაახლოებით 0.82 აშშ დოლარია ტონაზე, კილომეტრზე – დაახლოებით 41-ჯერ მეტი, აზერბაიჯანულ ტარიფზე.

ძნელია ახსნა, თუ რატომ დააწესა „საქართველოს რკინიგზამ“ ასეთი გაბერილი ტარიფი. თუ, რა თქმა უნდა, არ ვივარაუდებთ, რომ გარკვეული გადაწყვეტილებები, განზრახ თუ მოკლე ხედვით, ხელს უწყობს გრძელვადიანი სატრანზიტო სქემების ფორმირებას, რომლებიც „გვერდს უვლიან“ საქართველოს – სწორედ იმ მარშრუტების სასარგებლოდ, რომლებსაც აქტიურად უჭერს მხარს სომხეთი.

აზერბაიჯანიდან სომხეთში ტვირთების ტრანზიტზე, გულწრფელად რომ ვთქვათ, გადაჭარბებული ტარიფის მოთხოვნით, გარკვეულმა ქართველმა ჩინოვნიკებმა, ფაქტობრივად, სომხეთის რესპუბლიკური პარტიის ლობისტების წისქვილზე მიუშვეს წყალი, რომლებიც საქართველოს „გვერდის ავლით“ რკინიგზის პროექტს ემხრობიან. ეს იგივე პარტიაა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას, სისტემატურად მოქმედებდა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ: სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების პოლიტიკური მხარდაჭერიდან დაწყებული, გაეროს რეგულარული კენჭისყრით დამთავრებული,

საქართველო–სერბეთის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობო კომისიის მეორე სხდომა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ მარიამ ქვრივიშვილის და სერბეთის რესპუბლიკის შიდა და საგარეო ვაჭრობის მინისტრ იაგოდა ლაზარევიჩის თანათავმჯდომარეობით, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში საქართველო-სერბეთის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა. ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს,

უწყების ცნობით, კომისიის გახსნით სიტყვაში **მარიამ ქვრივიშვილმა** ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობასა და მზარდ დინამიკაზე, ასევე სხვადასხვა სექტორული მიმართულებით არსებულ პოტენციალზე ისაუბრა.

„დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოლაპარაკებების დაწყებას საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე“. საქართველო მზად არის, გადადგას შესამამისი ნაბიჯები სერბ კოლეგებთან მჭიდრო პარტნიორობით. მიუხედავად მზარდი დინამიკისა, ორმხრივი ვაჭრობის მიმდინარე მოცულობა ჯერ კიდევ არ ასახავს სრულ პოტენციალს და აუცილებელია გავააქტიუროთ ძალისხმევა ამ ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისთვის“, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

მინისტრის თქმით, სწორი, დივერსიფიცირებული ეკონომიკური პოლიტიკისა და მიმდინარე რეფორმების დახმარებით საქართველო ინარჩუნებს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

რაც შეეხება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას სექტორული მიმართულებით, მარიამ ქვრივიშვილის შეფასებით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს.

„საქართველო პოზიციონირებს როგორც რეგიონული ციფრული ჰაბი, ავითარებს ადამიანურ კაპიტალს, აუმჯობესებს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას და ახდენს მეტი მიზნესის ინტეგრირებას გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში“, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

საგარეო ვაჭრობა ნახტომისებურად იზრდება,

ექსპორტი კი ისტორიულ პიკზეა

საქართველო საგარეო ვაჭრობის მიმართულებით რეკორდულ მაჩვენებელზე გავიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსპორტის მიმართულება, რომელიც ისტორიული ნიშნულია და თანაც ბოლო სამ თვეში, ზედიზედ უმჯობესდება პიკური მაჩვენებელი.

11 თვეში, საგარეო ვაჭრობა 9.5%-ით გაიზარდა და 23.218 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე), 23.218 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.5 %-ით მეტია. სტატისტიკის მიხედვით, აქედან ექსპორტი 6.618 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 10.1%-ით), ხოლო იმპორტი 16.600 მლრდ აშშ დოლარს (გაიზარდა 9.3%-ით). ამასთან, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, 9.981 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43%-ია.

„საქსტატის“ თანახმად, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.3% შეადგინა. ხოლო ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: **თურქეთი** (2.798 მლრდ აშშ დოლარი), **აშშ** (2.590 მლრდ აშშ დოლარი) და **რუსეთი** (2.388 მლრდ აშშ დოლარი).

ამ მონაცემებში ყველაზე საყურადღებოა ექსპორტის ისტორიულად რეკორდული შედეგი. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის **ვახტანგ ცინცაძის** ინფორმაციით, **2025 წლის ნოემბერში ექსპორტის მიმართულებით რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა – 782.3 მლნ აშშ დოლარი. მატებამ, წინა წლის ნოემბერთან შედარებით, 44.2% შეადგინა. ვახტანგ ცინცაძე ხაზს უსვამს, რომ ასევე რეკორდულია იანვარ-ნოემბრის მაჩვენებელიც, კერძოდ, ჯამურად იანვარ-ნოემბერში ექსპორტი 10.1%-ით გაიზარდა, გადააჭარბა 2024 წლის წლიურ მონაცემს და 6,618.1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.**

„ასეთი მაჩვენებელი ერთი თვის განმავლობაში აქამდე არასდროს გვქონია ექსპორტის მიმართულებით. თუ შევხედავთ 11 თვის მონაცემებს, ასევე რეკორდული მაჩვენებლები გვაქვს – 11 თვის ექსპორტმა უკვე გადააჭარბა 2024 წლის ჯამურ შედეგს“, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ფაქტია, რომ საქართველო წარმატებით ასრულებს სატრანზიტო-საკომუნიკაციო ჰაბის როლს და ქვეყნის ტერიტორიის გავლით იზრდება საქონლის ნაკადის მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით, რაც ასევე სერიოზული წვლილის შემტანია საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და ექსპორტის მატებაშიც.

სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე** ადასტურებს, რომ ექსპორტის რეკორდული, ანუ ისტორიული მაჩვენებელი ბოლო სამი თვის განმავლობაში უკვე მეორედ დადასტურდა.

„პირველი მატება ორი თვის წინ გვქონდა და 703-მილიონიანი ზღვარი პირველად გადალახა. ახლა კი 780 მილიონზე მეტია. იმპორტთან შედარებით ოთხჯერ უფრო მაღალი ტემპი აქვს ექსპორტის მატებას. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო აგრძელებს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ჰაბის როლის შესრულებას. ამავე დროს, დამაჯერებლად ზრდის საკუთარი ადგილობრივი ნაწარმის ექსპორტს. ამაში, პირველ რიგში, მოიაზრება რეალური სექტორი.

ასე რომ, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სხვადასხვა ინდუსტრია გვაძლევს საფუძველს, რომ განვითარების შესაძლებლობას საკმაოდ ოპტიმისტური თვალით შევხედოთ.

რაც შეეხება იმას, დადებითი დინამიკა მომავალში რამდენად შენარჩუნდება. ვიტყვი, რომ ექსპორტის მაჩვენებელი ყოველთვე რეკორდული ვერ იქნება. თანაც, ეს დამოკიდებულია წარმოების ციკლზე, მათ შორის, სეზონური ფაქტორიც გარკვეულ როლს თამაშობს. იანვარი შედარებით მოკრძალებულია წარმოებისა და ექსპორტის თვალსაზრისითაც. თუმცა, ცხადია, რომ მთლიანობაში ტენდენცია მზარდია და ამაში აქტიურ როლს ადგილობრივი წარმოება ასრულებს“, – აღნიშნა **სოსო არჩვაძემ.**

დათა ბექაური

რომელიც ქართველი ლტოლვილების აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაბრუნების წინააღმდეგ იყო მიმართული.

მას შემდეგ, რაც საქართველოს „სატარიფო მოთხოვნები“ ფართოდ გახმაურდა, აზერბაიჯანმა, ისევე, როგორც სომხეთმა ადრე, გაიხსენა გაზახის, იჯევანისა და დილიჟანის გავლით გამავალი ალტერნატიული სარკინიგზო მარშრუტის არსებობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე იძულებული გახდა, სწრაფად ჩარეულიყო სპანდალში. მისი გრძანებით, „საქართველოს რკინიგზამ“ მიიღო საგანგებო ზომა – ნავთობპროდუქტების ერთჯერადი უფასო გატარება აზერბაიჯანიდან სომხეთში.

თუმცა, პროცესი უკვე დაწყებული იყო. სომხეთში ტრანზიტის ლოგისტებმა საქართველოს „გვერდის ავლით“, დამატებითი მხარდაჭერა მოიპოვეს, ხოლო იჯევანისა და გიუმრის გავლით მარშრუტმა მხარდამჭერები სომხეთის ფარგლებს გარეთაც მოიპოვა. ამ პროექტის დაჩქარებული განხორციელება სულ უფრო მეტად ერთგვარ „დაზღვევად“ აღიქმება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს „გადაჭარბებული“ სატარიფო მოთხოვნები განმეორდება მანამ, სანამ ზანგეზურის „კორიდორის“ გავლით „ტრამპის მარშრუტი“ სრულად ამოქმედდება.

ამ ვითარებაში, საქართველო აშკარად დაინტერესებულია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სწრაფი და სრულ ექსპლუატაციაში გაშვებით და მზადაა პროექტის დასრულებაში სახელმწიფო სახსრები ჩადოს. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა და სრული სიმძლავრით ამოქმედება უკვე ზედმეტად გადაიდო, ძირითადად „პრორუსული“ სომხური ლობის წინააღმდეგობის გამო, რომელიც ამჟამად აქტიურად უწევს პოპულარიზაციას იჯევანისა და გიუმრის გავლით მარშრუტს, როგორც ზანგეზურის დერეფნის გახსნის „ალტერნატივას“.

რუსეთსა და სომხეთში მასზე ორიენტირებული ძალების ინტერესი ამ პროექტის მიმართ ასევე გამჯვირვალეა: „ტრამპის მარშრუტისგან“ განსხვავებით, ალტერნატიული რკინიგზის ხაზის განხორციელება რუსეთის რკინიგზისთვის საკვანძო როლს გულისხმობს, რაც ინფრასტრუქტურაზე პირდაპირ კონტროლში გამოიხატება.

რა თქმა უნდა, ზანგეზურის დერეფნის გავლით გამავალი მარშრუტის მსგავსად, მომავალში აუცილებელია გაზახი-იჯევანი-გიუმრი-ყარსის რკინიგზის აღდგენა. თუმცა საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებშია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა შუა დერეფნის თანამედროვე და პრიორიტეტულ მარშრუტად დარჩეს.

CALIBER.AZ-დან თარგმნა

ქეთი გიორგაძემ

კაია კალასი აღიარებს, რომ ცილის-მწამებელია!

გეყურეგათ?

ეს მოკრეტინ-მოჩარკვიანო მდედრი კაია კალასი აღიარებს, რომ არის ჭორიკანა(!!!!) და ცილისმწამებელი!!!

მთავარი ამ გასაოცარ ამბავში ის არის, რომ ადრე ესტონეთის პრემიერ-მინისტრის, ახლა ბრიუსელში, ევროკავშირის უმაღლეს თანამდებობაზე მონარნარე, ენატლიკინა ლამაზმანის ეს აღიარება გახლავთ **იძულებითი**, რამეთუ მისი სამშობლოს **რაიონულმა** (და არა ევროპის უმაღლესმა) სასამართლომ განაჩენით დაავალდებულა იგი, ეღიარებინა ცილისწამება და გამოექვეყნებინა საჯაროდ თქმულის **უარყოფა** სოციალურ ქსელში.

ევროსასამართლო და სტრასბურგი კი არა... იხვის ტოლმა!!!!

დიახ, **რაიონულმა** სასამართლომ აუწია ყური ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს!!!

ჰოდა, ასეთი **ევროპა** კი ძლიერ მომწონს. მართლმსაჯულებაც!!!

თქვენ წარმოიდგინეთ, რა დიდი სასწაული მოხდება,თუ, მაგალითად, **მარნეულის** რაიონულმა სასამართლომ არა მარტო ევროკავშირის მაღალჩინოსნები და მოკეკლუცო დეპუტატები რომ აიძულოს, აღიარონ მამალი ცილისწამება, არამედ ბი-ბი-სიც კი დააჯარიმოს მილიონებით სიცრუის ტირაჟირებისთვის?!

P.S. ისე, ამ დედაკაცის ბიოგრაფია საინტერესოა, სად, როდის, როგორ გაიკეთა კარიერა კომუნისტურ პარტიაში შემძვრალმა ნორჩმა **კარიერისტმა!**

ჩვენი ყველაფრის მცოდნე **კუკური** გპირდებათ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

ისე სასაცილო კია, (სატირალი რომ არ იყოს), ვისზეა დამოკიდებული საქართველოს სვლა ევროგზაზე!

ერთი ევრო-კომისარი კორუფციისთვის დააკავეს... ბელგიის პოლიცია სხვა ფაქტებსაც იძიებს...

მეორე – აგერ აღიარებს, ჭორიკანა და ცილისმწამელი ვარო...

მესამე – ჩვენი **ურსულა** ფონ ბიცოლა(!) იტალიას ემუქრება, თუ არჩევნებში ხმას ჩვენიანებს არ მისცემთ, **დაგსჯითო**... ისე, როგორც უნგრეთი და პოლონეთი დავსაჯეთო...

მეტი რაღა ფაქტი გინდათ?

მე კი ისღა დამრჩენია, შევძახო:

მამუკა, სად ხარ ბიჭო, მარტო ჩვენებს რომ დასდევ, მიდი ევროპაშიც „გაიგულავე“...

ჰა – ბურთი და ჰა – მოედანი!

შენ კი, **კუკური,** დასცხე ისეთი **ტაში**, ცამ ქუხილი დაიწყოს!

ნუგზარ ფოფხაძე

კაია კალასმა სოციალურ ქსელში დაადასტურა, რომ სამი წლის წინ ესტონელი პოლიტიკოსის ვარო ვოგლაიუს შესახებ ცრუ ინფორმაცია გაავრცელა

ესტონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა კაია კალასმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სამი წლის წინ პოლიტიკოსის ვარო ვოგლაიუს შესახებ ცრუ ინფორმაცია გაავრცელა.

კაია კალასმა საჯარო განცხადება ესტონეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ გააკეთა, რომელმაც დაავალა ეთქვა, რომ მცდარი ინფორმაცია გაავრცელა ვოგლაიუსა და SAPTK-ის მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციაზე სამართალდამცავებზე თავდასხმის შესახებ.

„მე, კაია კალასმა, 2022 წლის 17 თებერვალს გამოვაქვეყნე ფაქტობრივად არასწორი ინფორმაცია, თითქოს ვარო ვოგლაიუს და „ოჯახისა და ტრადიციების დაცვის ფონდის“ მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციაზე ესტონეთის პოლიციას თავს დაესხნენ და, თითქოს ვარო ვოგლაიუმ და EKRE-მ 2021 წლის 23 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე დემონსტრაცია მოაწყვეს. ეს განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამება“, – დაწერა კალასმა სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ვარო ვოგლაიუსის შესახებ კაია კალასი წერდა: **„ჩვენ გვახსოვს მათ მიერ ორგანიზებული დემონსტრაცია ტუმპეაზე, სადაც ესტონეთის პოლიციას თავს დაესხნენ. გვახსოვს ვარო ვოგლაიუს და EKRE-ს მიერ ორგანიზებული დემონსტრაცია 23 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე, სადაც ესტონელ ექიმებს, მეცნიერებსა და სამედიცინო მუშაკებს თავს დაესხნენ. სამწუხაროდ, ესტონეთის სახელმწიფოს მტრად წარმოჩენა ვაროსა და მისი მტკიცე მხარდამჭერი EKRE-ს პოლიტიკური რიტორიკის ნაწილი გახდა“.**

ძალლების ყეფა ნამდვილი პატრიოტების ყიჟინამ უნდა შეცვალოს!

ყველა ასე როდი ფიქრობს. არიან ძველ წლებში ჩარჩენილები, არეულობისა და შფოთის მოსურნენი, რომელთაც თავი, რატომღაც პატრიოტები ჰგონიათ. აგუნტებენ ჯერ კიდევ გონებით მოუმწიფებელ ახალგაზრდებს, ამუხრუჭებენ ქართულ საქმეს და გარეშე მტერთან ერთობით ცდილობენ სამშობლო დაგაზარალონ. წარმოგიდგენიათ? ადამიანები, ვითომ პოლიტიკოსები, მიდიან უცხო ქვეყნებში და იქ ეძებენ მომხრეებს, რათა საკუთარ სამშობლოს ძირი გამოუთხარონ!

მალე ჩათავდება ქართველი კაცისთვის ყოველმხრივ დამაფიქრებელი 2025 წელიც. წელი, ბევრი ავისა და უფრო მეტი კარგი ხაზებით შეფერადებული. წელი – მასწავლებელი, შემეცნებითი, ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლის წელი, წელი – სამაგალითო, ადამიანის ადამიანურობისა და წმინდა ოჯახის მნიშვნელობის წინ წამოწეული ფაქტორით. სწორედ ამ ფაქტორმა სერიოზულად შეაცბუნა ევროკავშირის დღევანდელი მესვეურები. ისინი, დემოკრატიის არსში ადამიანთა გაუკუღმართებული ცხოვრების პროპაგანდას და ბევრ სხვა, ქართული სახელმწიფოსთვის, ქართული იდენტობისთვის მიუღებელ მოვლენას ხედავენ და ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს დემოკრატიის უკუსვლად ნათლავენ!

უნდა ითქვას, რომ ასეთი გაუგებრობებისგან შემდგარ შემოტევებს, შეურაცხმყოფელ რეზოლუციებს ევროკავშირისაგან, დღემდე ღებულობს ჩვენი მთავრობა. არ არის ადვილი ამ მუქარების თავიდან აცილება. ოპოზიცია, რომელიც უკვე, რა ხანია, მტრად მოევლინა საქართველოს, ზურგს იმაგრებს ევროპელ „პარტნიორთა“ ამ ავის მომასწავებელი გზავნილებით. მათი მხარდაჭერით გათამამებულნი, აგერ ერთი წელია, რევოლუციური და ძალადობრივი სქემებით ცდილობენ, დაამხონ ხელისუფლება... აი, ასეთ რყევებს უძლებს დღეს ჩვენი სახელმწიფო, ქართველ ხალხთან ერთად. არა მარტო უძლებს, არამედ წინ მიიწევს ფრთხილად, ნელა და რაც მთავარია, მშვიდობიანად!

რა ხანია ამ თემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ვერ შევძელით მათ გონებამდე სამშობლოს ცნება და არსი დაგვეყვანა. შეცდომებია დაშვებული მათ აღზრდაში, სწავლა – განათლებაში, ის ახალგაზრდები მყავს მხედველობაში, რომლებთაც თავის დროზე შეუზღუდეს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების კურსი, რამაც არა მარტო სამშობლოს სიყვარულის გრძნობების დაკნინება, არამედ ანალიტიკური აზროვნების შეზღუდვაც გამოიწვია!

ვინ არ იცის, რომ სახელმწიფოს მართვაში ოპონირებას დიდი და აუცილებელი როლი უკავია, ყველგან და ყველაფერში ჯანსაღი კრიტიკაა საჭირო , მაგრამ ოპოზიცია რომ სახელმწიფოს მტრად მოევლინება, ცუდად არის საქმე! ცუდის გამოსწორება კი ძნელად მისაგნები ყოფილა. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, არა მგონია ქვეყანას არგებდეს შეცდომილთა და უგუნურთა საპატიმროებში ერთიანად გარეკვა, იქ მათი რჩენა, მოსამართლეებისა და პროკურორების დატვირთვა ამ უთავბოლო საქმეებით. ჩვენ გვახსოვს და ვიცით, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ისტორიის უკუღმართობები, ვიცით ისტორიები, როდესაც ასეთებს საპატიმროებში არა და... ღმერთმა დაგვიფაროს! წყალმა წაიღო ის დრო, მადლობა ღმერთს!

ახლა კი მთავრობა ვალდებულია მონახოს შეცდომილთა



პრემია „მუზა“ — მუზის მსახურთ

მწერალთა სახლში ლიტერატურული პრემია „მუზას“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მწერალთა სახლის ინფორმაციით, გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ საკონკურსო ნომინაციებში:

ნომინაცია – **წლის საუკეთესო რომანი**

თეა კბილაშვილი – „გარდაცვალება გაღვიძებამდე“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო პროზაული კრებული**

ცირა ყურაშვილი – „მეწამული მაგნოლია“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო პოეტური კრებული**

ლია სტურუა – პოეზია;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესე**

ლევან გრეგაძე – „განრიდება“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა)**

ლაშა გაგილუა – „განგაშის იავნანა“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო თარგმანი**

რუსუდან ღვინეფაძე – ელიას კანეტი, „დაბრმავება“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო პრიტიკა/რეცენზია**

ამირან გომართელი – „დაფარულსა გავაცხადებ“;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება**

ნინია სადღობელაშვილი – „ფსიქოტროპი“;

ზურაბ კანდელაკი – ორი პიესა;

ნომინაცია – **წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი**

ნანა ყაულაშვილი – „ამბავს გეტყვი“;

ნომინაცია – **„ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილი“**

ტარიელ ხარხელაური;

სიმბოლურად, „მუზა“ გადაეცა მუსიკოსსა და მწერალს **მანანა მენაბდეს** (1948-2025), ავტობიოგრაფიული რომანისთვის „ფრენის დღე – ორშაბათი“.

შპს „მაგთიკომისა“ და მისი შვილობილი კომპანიის – შპს „დელტა კომის“

ერთობლივი განცხადება

იმისათვის, რომ აბონენტებს მივაწოდოთ ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის მომსახურება, ჩვენ მიერ რეგიონებში გამოყენებულია სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ ელექტრომომარაგების ბოძები. ბუნებრივია, აღნიშნულზე არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება და ჩვენ ჯეროვნად ვასრულებთ მის პირობებს, მათ შორის, ვიხდით შეთანხმებულ საფასურს.

წინასაახალწლო პერიოდში სს „ენერგოპრო ჯორჯიამ“ გადაწყვიტა, რომ ხელოვნურად შექმნას დაბრკოლებები საკუთარ ქსელში (ელექტრომომარაგების ბოძებზე) დაშვებაზე, რაც გამოიხატა გარკვეული შეზღუდვების დაწესებაში, კერძოდ, შეზღუდვა თავდაპირველად შეეხო ახალი აბონენტების ჩართვას, ხოლო შემდგომ უკვე მომსახურების პროცესში გამოვლენილი დაზიანებების აღდგენისათვის დაშვების შერჩევითი და დროში გაჭიანურებული „სამუშაო“ პროცესის დადგენას. ხელოვნური შეზღუდვების შედეგად დღეს მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვახორციელოთ ახალი აბონენტის ჩართვა ან სერვისზე დაფიქსირებული დაზიანების აღდგენა, თუ ამისათვის აუცილებელია სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ელექტრომომარაგების ბოძზე დაშვება.

ახალი წლის პერიოდში შეზღუდვების დაწესება ხელოვნურად ამძაფრებს მოსახლეობის უკმაყოფილებას. შესაბამისად, სრულიად მიზანმიმართულად ხდება ნეგატიური განწყობების შექმნა.

მოვუწოდებთ სს „ენერგოპრო ჯორჯიას“, ნუ დატოვებს მოსახლეობას ინტერნეტისა და ტელევიზიის გარეშე.

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 16 დეკემბრის N1-1/439 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. „წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. ეგხ „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეული, წყალტუბოს რაიონის, სოფელ ქვიტირში მდებარე იჰსან მეტინის (პ/ნ 426978799) საკუთრებაში არსებული 281 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ 29.12.36.038) ნაწილის, კერძოდ, 1454 კვ.მ.-ის და 247 999 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ 29.12.36.036) ნაწილის, კერძოდ 576 კვ.მ-ს გამოსყიდვის აუცილებლობა.

ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნაწილის (1454 კვ.მ-ის და 576 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 16 დეკემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/439** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა წყალტუბოს რაიონის, სოფელ ქვიტირში მდებარე იჰსან მეტინის (პ/ნ 426978799) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებებზე:

– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.12.36.038; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 281 000 კვ.მ.-ის ნაწილი – 1454 კვ.მ.;

– **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.12.36.036; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 247 999 კვ.მ.-ის ნაწილი - 576 კვ.მ..**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

უკან მობრუნებისა და მათთან ურთიერთობის უტყუარი გზა, ისინი ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან, ჩვენი შვილები! ისიც გავიხსენოთ, როგორ მიიღო შემცდარი შვილი მამამ! გამჭრიახობით და დიპლომატიით, ეს ჩვენი, დღეისათვის ტვინგადაბრუნებული შვილებიც იქნებ გონს მოეგონ და ქართულ საქმეს და ქართულ საზოგადოებას შემოუბრუნდნენ, ენამ ტკბილად მოუბარმა ისინი უნდა მოაქციოს სიკეთისაკენ. საცდელი უნდა ვცადოთ და აქ ეკლესიაც უნდა მოვიშველიოთ. ჯერ კიდევ 2021 წელს ჩვენმა დიდმა პატრიარქმა შეგვახსენა ბიბლიური ლეგენდა, როგორ გადიოდა გზაზე უძღები შვილის მამა და როგორ ელოდა თავის გზააბნეულ შვილს... ჩვენც უნდა ველოდოთ, ბოლომდე ველოდოთ. ისინი მობრუნდებიან...

* * *

ძვირფასო მკითხველო, ვიცი, რომ უმეტესი თქვენგანიც ასეთი განცდებით არის დატვირთული, ვიცი რომ ასე მოფიქრალი მარტო არა ვარ, ვიცი ქართველი კაცის სიავეც, მაგრამ მასთან ერთად, ვიცი, რომ უამრავი ადამიანი, უამრავი ქართველი თუ საქართველოს სხვა მოქალაქე ცხოვრობს ჩვენს გვერდით, კეთილი გუნებით სავსე.

ჭკვიანი, სამშობლოს ერთგული, ავისა და კარგის გამრჩევი... ხომ მიმიხვდით, ძვირფასებო, რაც მინდა, – ჩვენი ხალხის გაერთიანება მინდა, კეთილმა რომ ბოროტს სძლიოს ის მინდა , დაე, სიკეთემ გაგვაერთიანოს! ყველაფერი ეს ვის ხელეწიფება თუ არა ხელისუფლებას. მან შესძლო შეუძლებელი და ცხელი ომი თავიდან აგვაცილა, ახლა ცივი ომიც, თავს მოხვეული შიდა არეულობაც მშვიდობიანად უნდა აგვაცილოს! ჯერჯერობით კი, სანამ დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე მუდმივად იკრიბებიან ბრიყვები და გზააბნეულები, თუნდაც ასი კაცი!

სანამ იქიდან ცრუ პატრიოტიზმით აგზნებულები, გარეშე მტრების სურვილებს ლოზუნგებად გაჰყვირიან, სანამ კანონს დაუმორჩილებელი, „პროსპექტელები,“ მტრის გუნდთან ერთად დგანან და საქართველოში დემოკრატიის განმტკიცება კი არა (რაც სრულებითაც არ ადარდებთ!) ამუამინდელი ხელისუფლების დამხობა და სანაცვლოდ თავიანთი მორჩილი მთავრობის აღზევება სურთ (ამ მიზნით რას არ კადრულობს ევროკავშირი, ელჩების სახით აგენტების შემოგზავნიდან დაწყებული „ენჯოშნიკების“ მოსყიდვით დამთავრებული), მანამ კი გაუდგება ქარავანი თავის გზას, თუმცა, ძაღლების ყეფა მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის არც თუ ისე სასიამოვნო მოვლენაა! ძაღლების ყეფა საქართველოს ნამდვილი პატრიოტების ყიჟინამ უნდა შეცვალოს!

მშვიდობიან, საქმიან, დემოკრატიული წყობილების განმტკიცების წელს ელოდება ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე, სახელოვანი ადამიანების აღმზრდელი საქართველო! გაიხარე და გაიმარჯვე, ჩემო ლამაზო ქვეყანავ!

გულნარა სტურუა



ბრიტანულ ჟურნალ „სფექთეითორში“ (The Spectator) სათაურით „მაკრონი მართალია: ევროპა პუტინს უნდა დაელაპარაკოს და რუსეთთან სრულფასოვანი დიალოგი განაახლოს“ (ავტორი – მარკ გალეოთი, პოლიტოლოგი) გამოქვეყნებულია სტატია, რომელშიც გატარებულია აზრი – ემანუელ მაკრონის მოწოდება, რომ ევროპამ რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს, სწორია. ავტორის აზრით, ევროკავშირის ლიდერებმა თავიანთი მწვავე განცხადებებით თვითონვე დაწვეს მოსკოვთან მისასვლელი ხიდები და ამიტომ პუტინთან ლაპარაკისადმი თავის არიდება არაშორსმჭვრეტელური იქნებოდა.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით: THE SPECTATOR

ევროკავშირის ლიდერებმა

თვითონ დაწვეს მოსკოვთან მისასვლელი ხიდები!

ემანუელ მაკრონი მართალია: საფრანგეთის პრეზიდენტმა ზუსტად მოარტყა, როცა ბრიუსელში წინა კვირას უკრაინის დაფინანსების მიზნით გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა – „ვფიქრობ, სასარგებლო იქნება, ისევ ვლადიმერ პუტინს დაველაპარაკოთ“.

„ვფიქრობ, რომ ჩვენს ინტერესებშია – როგორც ევროპელების, ასევე უკრაინელების – ვიპოვოთ შესაფერისი ჩარჩოები მოსკოვთან დისკუსიის განახლებისათვის“, – თქვა მან და დაამატა რომ ეს **„უახლოეს კვირებში უნდა გაკეთდეს“.**

ალბათ, ზოგიერთები თვლიან, რომ ვლადიმერ პუტინთან (ევროპელი ლიდერების) საუბრები კრემლის ბინადარს საერთაშორისო ლეგიტიმურობას შემატებს და მის მიმართ გამოცხადებულ სანქციებს გაანეიტრალებს. ევროკავშირის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი კაია კალასი იმითაც ტრაგახობდა, რომ მან ზოგიერთი ქვეყნები ისე შეაშინა, რუსებთან ლაპარაკზე უარი თვითონვე განაცხადესო.

თუმცა ემანუელ მაკრონმა თავისი ნათქვამით მხოლოდ ის აღიარა, რომ რუსეთი ისევ ბრძოლისუნარიანია და რომ ამჟამინდელი მოდელი – როცა დონალდ ტრამპის გუნდი ევროპელების საქმესაც აკეთებს, ხოლო თვითონ ევროპელი ლიდერები „მეხანძრეებივით“ სასწრაფოდ დარბიან ატლანტის ერთი ნაპირიდან მეორეზე და თეთრ სახლს ეუბნებიან, რომ პუტინისათვის ზედმეტი დაპირება არ მიეცათ – პასიურია და ახლომხედველური. **„წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ჩვენ ერთმანეთში ვისაუბრებთ, დონალდ ტრამპის გუნდი კი რუსებთან ურთიერთობს, რაც არცთუ იდეალურია“**, – დაამატა მან.

ემანუელ მაკრონი ორ ვარიანტს ხედავს: **„ან მივაღწევთ მტკიცე მშვიდობას აუცილებელი გარანტიებით, რაც შესანიშნავი იქნებოდა და ამ შემთხვევაში ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა, ან უახლოეს კვირებში მოგვიწევს იმ ნებისა და უნარის გამოვლენა, რომ ევროპელებმა განვაახლოთ სრულფასოვანი და გამჭვირვალე დიალოგი რუსეთთან“.**

ემანუელ მაკრონი თვითონ არაერთგზის ცდილობდა რუსებთან კონტაქტების აწყობას. ომის პირველ თვეებში, განსაკუთრებით 2022 წლის სექტემბერში, ის რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადა კრემლთან დარეკვას, რომ ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურთან დაკავშირებული რისკები დაერეგულირებინა. როცა არაფერი არ გამოვიდა, საფრანგეთის პრეზიდენტი სხვა უკიდურესობაში „გადავარდა“ და რუსეთის პრეზიდენტის მძაფრი კრიტიკა დაიწყო. თუმცა, ამის მიუხედავად, მან მიმდინარე წლის ივლისში ისევ მიმართა რუსეთის ლიდერს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. არც ამ მცდელობებმა გამოიღო სასურველი შედეგი – იმიტომ, რომ მოსკოვი მიხვდა – მაკრონი **„თვითშემოქმედებით არის დაკავებული“** და მის ნაბიჯებს მხარს არ უჭერენ არც ევროპის ქვეყნები და არც თვით საკუთარი ადმინისტრაციაც კი. **როგორც ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა შენიშნა, „თუ მაკრონს თანამემამულეების ყურადღების მიპყრობა არ შეუძლია, რატომ უნდა უსმინონ მას რუსებმა?“.**

ვლადიმერ პუტინი შვიათად თუ უყურებს სერიოზულად ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას. მაგრამ დღეს ფაქტიურად სწორედ ევროპა აფინანსებს უკრაინის კამპანიას (აშშ-ის გარეშე), ამიტომაც, ალბათ, შესაძლოა ჯერ კიდევ არის შანსი იმისა, რომ მისი ყურადღება მივიპყროთ, თუ ჩვენ ერთად ვიმოქმედებთ.

ევროპაში მწიფდება აზრი, რომ მიდგომა – პუტინს ხმა არ გავცეთ, იმიტომ, რომ იგი ბოროტმოქმედია – არაშორსმჭვრეტელურია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ევროპელები სხვა მსგავს ბოროტმოქმედებთან ნორმალურად თანამშრომლობენ და საქმეებს აგვარებენ. ასე მაგალითად, ნოემბერში ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა საული ნინისტემ განაცხადა, რომ ევროპელი ლიდერები შეშფოთებულნი არიან დონალდ ტრამპის საუბრებით ვლადიმერ პუტინთან ისე, რომ ევროპელებს არაფერს არ ეკითხებაო და შესაბამისად,, აუცილებელია რუსეთ-აშშ-ის დიალოგში ევროპელთა ჩართვა. მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრემ, ამჟამად მოქმედმა პრეზიდენტმა ალექსანდრე სტუბმა, რომელიც არანაირად არ არის პუტინის მეგობარი და მხარდამჭერი, ფრთხილად დაუჭირა მხარი ამ იდეას და ხაზი გაუსვა, რომ ეს ცალკეული ქვეყნების დონეზე კი არ უნდა მოხდეს, არამედ ერთადო.

პრეზიდენტი სტუბი მართალია: თუ ევროპული ქვეყნები განაახლებენ რუსეთთან დამოკიდებულებას მხოლოდ ორმხრივ საფუძველზე, პუტინისათვის ეს იქნება მიწვევა იმისთვის, რომ მან ევროპის თანხმობით „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით იმოქმედოს. კრემლისთვის ასეთი თამაშები დიდი ხანია ცნობილია და კარგად არის გამოცდილი მსგავს ინტრიგებში. ამიტომ აუცილებელია საერთო ევროპული პოზიციის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება მტკიცე კონტინენტური კონსენსუსი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია (ცხადია, ყოველთვის იქნება ცალკეული უთანხმოებები, მაგალითად, უნგრეთის ან სლოვაკეთის მხრიდან). ასეთ შემთხვევაში კონსენსუსის მიღწევა ევროკავშირის სტრუქტურების ამოცანა არ უნდა იყოს – არა მარტო იმიტომ, რომ პუტინს ევროკავშირი არ მოსწონს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ურსულა ფონ დერ ლაიენმა და კაია კალასმა, თავიანთი უშნო კრიტიკით და მოჩვენებითი მორალიზატორობით რუსეთთან მისასვლელი ყველა ხიდი დაწვეს.

აი, ამ დროს პირველ პლანზე უნდა გამოვიდეს „ევროსამეული“ – არაფორმალური გაერთიანება გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სახით. თუ ისინი გამოავლენენ შემართებას და მტკიცე პოზიციას მთელი კონტინენტის და არა მხოლოდ ევროკავშირის სახელით, თანაც სერიოზული გავლენის მქონე სახელმწიფოებიდან, მაშინ ამით რუსეთთან ურთიერთობა „გადაიტვირთება“, თუნდაც სწრაფ შედეგებს ვერ მივაღწიოთ. რუსეთთან ურთიერთობა მხოლოდ აშშ-ის მონოპოლია არ უნდა იყოს. როგორც ერთ-ერთმა ბრიტანელმა დიპლომატმა თქვა ჩემთან საუბარში, „რუსეთი არსად არ წავა, ამიტომ ჩვენ არამარტო უნდა შევიმუშაოთ სამშვიდობო დარეგულირების რაღაც გარკვეული წესი, არამედ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ სამომავლო ურთიერთობებს მშვიდობიან პერიოდში. მაგრამ ჯერჯერობით პუტინს (ცნობილი მიზეზების გამო) ჩვენი ხმის გაგონება და საუბარი არ სურს“.

აუცილებელია, რომ ვლადიმერ პუტინი ვაიძულოთ მოგვისმინოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩვენ მას რაიმე მნიშვნელოვანს შევთავაზებთ – უფრო რაღაც გააზრებულს, ვიდრე მორალურად გამართლებულს... მაგრამ არა პოლიტიკურად უაზრო მანტრებს, რომლითაც ევროპული რიტორიკა გამოირჩევა.

ვარაუდები ისეთია, რომ სტარმერისა და მაკრონის მიერ „უკრაინის დახმარების გაწევის მსურველთა კოალიციის“ შექმნის უკან რაღაც სტრატეგია იმალება, რომელიც დამაჯერებელ და სიცოცხლისუნარიან გზას გახსნის უკრაინაში მშვიდობის დასამყარებლად, თუმცა ამის შესახებ საჯაროდ და ოფიციალურად არაფერი არ თქმულა. თუ ასეთი სტრატეგია ვერ შემუშავდება და მკაფიოდ ვერ ჩამოყალიბდება მისი არსი, თუ კონტინენტს ამის ძალა არ ექნება, მაშინ რას ვერჩით პუტინს – გამოდის, რომ იგი მართალია, რომ ჩვენი მოსმენა არ სურს.



მოამზადა
სიმონ კილაძემ

◎ ვერნისაჟი



როცა ფერწერა ღვინოზე მეტად ათრობს...

გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მხატვართა თაობის გამორჩეული წარმომადგენლის ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკის პერსონალური გამოფენა გაიხსნა გასულ პარასკევს და თებერვლამდე გასტანს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის სამხატვრო (ცისფერ) გალერეაში.

მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემის ზოგადი სტილისტიკით ნონკონფორმისტული გუნებების მქონე ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები არაჩვეულებრივად მიმზიდველია და უაღრესი თვითმყოფადობით გამოირჩევა. მისი შემოქმედება, რომელშიც იგი უმთავრეს ტრადიციულ ქართულ ელემენტებს იყენებს, მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ყოფითი რეალობის სრულიად უნიკალურ სიურრეალიზმს ქმნის და მნახველს ეპოქის ჭირ-ვარამს, ლხინს, ხშირად გავშვობის განუმეორებელ სამყაროსაც აზიარებს.

ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში, თანამედროვე ქართველ მხატვართა შორის საზღვარგარეთ ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ფერმწერს ვლადიმერ კანდელაკს, უამრავი გამოფენა აქვს მოწყობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მან 23 წელი გაატარა. საოჯახო ფოტოები, ხატები, ძველებური საბრძოლო იარაღები, ცხენის აღკაზმულობა, უნაგირები, ნალები, მანდილოსანთა ქუდები და მარაოები, კიდევ უამრავი სხვა ნივთი – ყველაფერ ამას იგი წლების განმავლობაში თავისი სახსრებით იძენდა, რუდუნებით თავს უყრიდა და თან ხატავდა, თანაც თავის კოლაჟებში თუ პოპ-არტულ ობიექტებში იყენებდა.

– ვლადიმერ კანდელაკი გენიალური მხატვარია, მას სამყაროს თავისებური საოცარი ხედვა აქვს და იგი საქართველოს სჭირდება, – ეს სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას **ილია II-ეს** ეკუთვნის, რომელმაც შემოქმედი ამერიკიდან ისევ სამშობლოში დააბრუნა.

ამჟამად, ვლადიმერ კანდელაკის სხვადასხვა შემოქმედებითი ხერხების გამოყენებით შექმნილი ნამუშევრები, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ხელოვნების ტრფიალთა კერძო კოლექციების გარდა, დაცულია საქართველოს ეროვნულ და ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმებში, აგრეთვე ზემერლის ხელოვნების (ნიუ-ჯერსი,

სტალინი — გენიალური „დიქტატორი“

VI ნაწილი

(გაგრძელება)

– ექიმს ხომ არ დავუძახოთ? – ფრთხილად იკითხა მალენკოვმა.

– ექიმს? – მწარედ გაეღიმა გელადს, – მას შემდეგ, რაც გავიგეთ მკვლელი ექიმების შესახებ? რაიმეს მოვახერხებ, – დასძინა მან.

სტუმრები წამოდგნენ და წასასვლელად გაემზადნენ.

ბერიამ ფეხი აითრია.

– იოსებ ბესარიონოვიჩ, – თქვა მან ფრთხილად, – ნამდვილად კარგად გრძნობთ თავს?

სტალინმა თითქოსდა სევდიანად შეხედა და ჰკითხა:

– შენთვის სულერთი არ არის, ლავრენტი?

ბერიამ თვალები დახარა.

– წადი, – ხელით მიანიშნა სტალინმა, – და დაიძინე მშვიდად, ჯერჯერობით, სანამ კიდევ დროა...

ბერია აჩქარებული ნაბიჯით წავიდა.

ვალენტინამ კი მაგიდის ალაგება დაიწყო.

ბელადი მოუსვენრად იყო, ეტყობოდა, რომ ვალენტინას წინ და უკან სიარულიც აწუხებდა.

– თავი დაანებე და სახლში წადი, – უთხრა მან გოგონას.

– მაგრამ, ამხანაგო სტალინ.

– წადი, ყველანი წადით, მარტო ყოფნა მინდა!

ეს უჩვეულო იყო. სტალინი არასდროს რჩებოდა სრულიად მარტო. ან დაცვის წევრი, ან მოსამსახურე, აუცილებლად იყო მის გვერდით.

ვალენტინა დილის 4 საათზე, ყველაზე ბოლოს, წავიდა კუნცევოდან. წასვლისას, კარიდან უკან მოიხედა და დაინახა ბუხართან, სავარძელში მჯდომი იოსებ სტალინი, რომელიც ჩაფიქრებით უმზერდა ცეცხლს.

დაცვამ შემდეგ თქვა, რომ ბელადის ოთახში შუქი 4 საათსა და 30 წუთზე ჩაქრა, მაგრამ ბრძანება იყო მკაცრი, არავინ უნდა შესულიყო, თუ არ დაუძახებდნენ.

გავიდა 10 საათი, 12, 15.

1 მარტის 10 საათზე შეშფოთებულმა დაცვამ გადაწყვიტა, ბრძანება დაერღვია.

პირველი ბელადთან აგარაკის კომენდანტი სტაროსტინი შევიდა და მალე იქიდან მიტკალივით გაფითრებული გამოვარდა.

– დაუძახეთ ყველას, სასწრაფოდ! – უჩვეულო ხმით დაიყვირა მან.

სტალინი იწვა იატაკზე, ტახტთან ახლოს, საცვალი სველი ჰქონდა, მარჯვენა ხელი აწეული, თითქოს მიანიშნებდა ვიღაცაზე თუ რაღაცაზე, თვალები ღია, მაგრამ ცარიელი, უმეტყველო, სუნთქვა მძიმე, ხრინწიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი.

* * *

ვალენტინა სახლში მივიდა და დასაძინებლად როგორც კი დაწვა, დაღლილს მალევე ჩაეძინა, თუმცა დიდი ხანი არ სძინებია, გოგონა მოულოდნელად არაჩვეულებრივმა განცდამ გამოაღვიძა.

შემდეგ შეიტყო, რომ ზუსტად იმ დროს სტალინი სიკვდილს ებრძოდა აგარაკის ცივ იატაკზე დაცემული.

1953 წლის 1 მარტს, 10 საათზე, ვალენტინა სერგეევა სასწრაფოდ კუნცევოში გამოიძახეს. მან ჭიშკართან გაიგო, რომ რაღაც მომხდარიყო. ეზოს წინ უამრავი მანქანა და დაცვა ირეოდა. სახლში გამეფებული იყო უცნაური ატმოსფერო. ეს არ იყო პანიკა, მაგრამ იყო ძალიან დაძაბული მდგომარეობა.

კომენდანტი სტაროსტინი დერეფანში შეეფეთა ვალენტინას, ხელში ქუდი ეჭირა და უაზროდ ჭმუჭნიდა.

– სერგეევა, – უთხრა და ხელზე ხელი მოუჭირა, – ღმერთს მადლობა, რომ გამოჩნდი, მიდი, შეხედე, იქნებ მას უბრალოდ სძინავს?!

ვალენტინა ოთახში შევიდა.

დიდი ბელადი, რომლის სახელის გაგონებაზეც ძრწოდა მთელი მსოფლიო, იწვა იატაკზე უხერხულ პოზაში, ხალათი უწესრიგოდ ჰქონდა ამოჩაჩული, უჩანდა საცვალი, რომლის ქვემოთ იდგა შარდის გუბე, სახე მოღრეცილი ჰქონდა, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა, მაგრამ ყველაზე შემზარავი იყო თვალები, ღია თვალები; მათში იკითხებოდა არა შიში, არამედ გაკვირვება, თითქოსდა მან გონებაზე ყოფნის უკანასკნელ მომენტში დაინახა რაღაც მოულოდნელი, ან წარმოუდგენელი.

ვალენტინა კართან მუხლებზე დაეცა. რამდენიმე წამი ასე იყო, მერე წამოდგა, ბელადს მიუახლოვდა და პულსი შეუმოწმა. სტალინის გული უმწეოდ და არათანაბრად ძგერდა.

– ის ცოცხალია, – თქვა მან, – სასწრაფოდ ექიმი.

მაგრამ ექიმები არავის გამოუძახია კიდევ 9 საათის განმავლობაში.

პირველი, ვინც აგარაკზე მოვიდა, იყო ლავრენტი ბერია. მერე მალენკოვი, ხრუშჩოვი, ბულგანინი, კაგანოვიჩი. ყველა უყურებდა მომაკვდავ ბელადს, მაგრამ ვერავინ ბედავდა, პირველს მიეღო რაიმე სახის გადაწყვეტილება. მხოლოდ საღამოს 7 საათზე, როცა უკვე ცხადი იყო, რომ ბელადს ცნობიერება აღარ დაუბრუნდებოდა, გამოიძახეს ექიმები, თუმცა არა საუკეთესო, ისინი უკვე საპატიმროებში იყვნენ, მოიყვანეს შედარებით ახალგაზრდა, გამოუცდელი, რაღაცნაირად დაფეთებული ექიმები.

თერაპევტმა, პროფესორმა ლუკომსკიმ ხელების კანკალით გაუზომა წნევა ბელადს.

– 260/120, – ჩურჩულით თქვა მან, – ფართო მასშტაბის სისხლჩაქცევა ტვინში.

– რისი გაკეთება შეიძლება? – იკითხა ბერიამ.

– წურბელები, ყინვა თავის მიდამოებში, სიმშვიდე.

ეს იყო შუა საუკუნეების სამედიცინო გამოცდილება. ამ ექიმებმა ან მეტი არ იცოდნენ, ანდა ეშინოდათ, მიეღოთ უფრო რადიკალური ზომები.

ვალენტინა მთელ ამ პროცესებს თვალს ჩუმად ადევნებდა. ის ხედავდა, როგორ ჩურჩულებდნენ კუთხე-კუთხე ბელადის თანამებრძოლები, როგორ ინაწილებდნენ თანამდებობებს. მაგრამ, როცა მოულოდნელად ბელადი შეირხა და თვალები გაახილა, ბერია მიეჭრა, ეტაკა ხელზე და შეჰყვირა:

– ძვირფასო იოსებ ბესარიონოვიჩ, ჩვენ აქ ვართ, თქვენთან ვართ.

სტალინმა მას ამღვრეული თვალებით შეხედა, შეეცადა, რაღაც ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ხრიალი აღმოხდა, მაგრამ ვალენტინამ, რომელიც ახლოს იდგა, გაარჩია ერთი სიტყვა: пре дай те.

Предатели, предайте, предостережение – აქედან რომელი სიტყვის თქმას აპირებდა ბელადი, გარკვევა შეუძლებელი იყო.

2 მარტს მდგომარეობა გაუარესდა. ბელადს საშინელი სპაზმები დაეწყო.

ექიმები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ეს იყო აგონია. სტალინი ხან მოვიდოდა აზრზე, ხან – დაკარგავდა ცნობიერებას. ერთ-ერთი ასეთი აზრზე მოსვლის დროს მან ასწია მარცხენა ხელი, მარჯვენა პარალიზებული ჰქონდა და მიუთითა პორტრეტზე, რომელიც კედელზე ეკიდა. ეს იყო მისი ქალიშვილის, სვეტლანას ბავშვობის ფოტო.

– სვე-ტა, – ამოიხრიალა სტალინმა.

სვეტლანა 3 მარტს მოვიდა, როცა სტალინი უკვე თითქმის უგონოდ იყო. დაჯდა მამის საწოლთან, აიღო მისი ხელი და ბელადს ჩასძახა:

– მამა... მამა, მე ვარ.

სტალინმა თვალი გაახილა, შეხედა სვეტლანას და უცებ, ვალენტინამ აშკარად დაინახა, რომ მის სახეზე გამოისახა ღიმილი, შემდეგ თვალები წყნარად დახუჭა.

5 მარტს, საღამოს, 9 საათსა და 50 წუთზე, ბელადმა წყვეტილად დაიწყო სუნთქვა, ექიმები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ დასასრული ახლოს იყო და ამ დროს მოხდა საშინელი რამ: სტალინმა თვალები გაახილა და მარცხენა ხელი ასწია.

ვალენტინამ სიკვდილამდე ვერ დაივიწყა ეს ჟესტი: ბელადმა თითქოს დაწყევლა ყველა, ვინც ოთახში იყო. შემდეგ ხელი დავარდა და სუნთქვა შეჩერდა.

პროფესორმა ლუკომსკიმ ბელადს პულსი შეუმოწმა.

დაფიქსირდა დრო: 21 საათი და 50 წუთი – ამხანაგი სტალინის გარდაცვალება.

მოამზადა

ირანდა კალანდაძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139, 144, 146, 148, 154, 163, 165, 168

აშშ) მუზეუმში, კრემონის ფონდში (მერილენდი, აშშ), ტრეტიაკოვის გალერეასა და აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი).

ცისფერი გალერეის პირველი სართულის სამ დარბაზში, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის სხვადასხვა დროს შექმნილი ფერწერული ტილოების გარდა, გამოფენილია უტილიტარული, სამომხმარებლო თუ ანტიკვარული ნივთების კოლაჟები, რომელთა მეშვეობით შემოქმედი წარსულსაც წარმოაჩენს და ახალ, რამდენადმე მსუბუქი ირონიის მატარებელ მოცემულობებს ქმნის. გამოფენა ამ ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედების თითქმის ყველა პერიოდს მოიცავს – როგორც უანრობრივად, ისე თემატურად.

იუნესკოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის წევრის, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის პროფესორის ვლადიმერ კანდელაკის პერსონალურ გამოფენაზე ხელოვნების მოყვარულთა სამსჯავროზე წარმოდგენილ ფერწერულ ტილოებს შორის, მნახველთა ყურადღებას პირველ ყოვლისა იპყრობს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ორი არაჩვეულებრივი პორტრეტი, ასევე „დავით აღმაშენებელი“ და „შოთა რუსთაველი“, „ვეფხისტყაოსნის“ ზედმიწევნით მეტყველი ილუსტრაციები – „თინათინის გამეფება“, „ავთანდილის სიმღერა“, „ნადირობა“, სხვადასხვა ტექნიკით შექმნილი ტილოები „მსხვერპლშეწირვა“, „დღეობა“, „დღესასწაული მთებში“, „მოსავლის აღების დღესასწაული“, „კოლაჟი ხურჯინით“, „ქალიშვილი ყელსაბამით“, „ნაყინი ესკიმო“, „ბოთლები ფრონტისთვის“, „ვერძების ბრძოლა“, „კოჭი. თამაში“, „ცხოველთა სამყარო“, მრავალი სხვა. ასევე – როგორც ყოფის სიდუხჭირის ტყვე თუ მძევალი სილამაზე და მშვენიერება – „ფარშევანგი გალიაში“, „ფარშევანგის ფრთა და ყვავები“, „ბავშვობის მოგონება“, „კომპოზიციები ხატების მოჭედილობით (გადაგდებული რელიკვიები ჩემს კოლექციაში“. აქვე აუცილებლად უნდა ვახსენო მხატვრის დიდებული კოლაჟები – „გასაღებები“, „კომპოზიცია ფულით“, ასევე მისი ამერიკული სერიის „ზეიმი ჰელოუინი ფილადელფიაში“ და „ქარწაღებული“.



– ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ დიდი წმინდანის, ნიკოლოზ-სასწაულმოქმედის დღეს, ცისფერი გალერეა შესანიშნავი ქართველი მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის ჭეშმარიტად არაჩვეულებრივ გამოფენას მასპინძლობს, – თქვა ვერნისაჟის საზეიმო გახსნისას ცერემონიის გამძღოლმა **მონაზონმა მარიამმა (ია ბაგრატიონ-მუხრანელმა)**. – იგი დიდებული შემოქმედია, არაჩვეულებრივ ოჯახში აღზრდილი, საეკლესიო გვარის ღირსეული შთამომავალი, ფაქიზი სულის პატრონი თავადაც კანდელივით პიროვნება, მრავალ განსაცდელს გამოვლილი კაცი, რასაც მისი ქმნილებები ნათლად მოწმობენ.

მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მან მოახერხა და საკუთარი სახსრებით შეაგროვა ძველებური, ხშირად ანტიკვარული ნივთების უზარმაზარი კოლექცია, ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ნამუშევრების გაყიდვით ნაშოვნი ფულით საქართველოში საგანგებო ფონდი შექმნა, რომელსაც ეროვნულ სახვითი ხელოვნების განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა, მათ შორის საკუთარი სახსრებით აეგო ეკლესია და სახვითი ხელოვნების მუზეუმი, გამოეცა სამხატვრო წიგნები, მოეწყო გამოფენები, ნიჭიერი სტუდენტებისთვის დაენიშნა სტიპენდიები, ხოლო პედაგოგებისთვის – დაეწესებინა პრემიები... მაგრამ თაღლითებმა მას ამის შესაძლებლობა მუხანათურად წაართვეს, სამართალს კი მან დღემდე ვერ მიაგნო...

საერთოდაც, დიდად გულდასაწყვეტია, რომ ასეთ დიდ მხატვარს საზღვარგარეთ უფრო მეტი დაფასება აქვს, ვიდრე სამშობლოში და ეს არ არის ერის ღირსეული პიროვნებების მიმართ ჩვენგან ასეთი უგულო მოპყრობის ერთადერთი მაგალითი, რასაც აუცილებლად გამოსწორება სჭირდება.

ვლადიმერ კანდელაკის გამოფენის თაობაზე, ზოგადად მის შემოქმედებასა და პიროვნებაზე ბევრი თბილი, შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვეს აფხაზეთიდან დევნილმა მხატვარმა **ნუგზარ მგალობლიშვილმა**, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ **თეიმურაზ შაშიაშვილმა,** სახელოვანმა მოქანდაკემ **გიორგი შხვაცაბაიამ,** აკადემიკოსმა **რამაზ ყურაშვილმა,** თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა **ყარამან ქუთათელაძემ,** რომელმაც, კერძოდ თქვა:

– ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებას აქამდეც კარგად ვიცნობდი, მაგრამ ახლანდელმა გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი ენერგია მთელ ჩვენს ეპოქას იტევს და ეხმიანება, ამიტომაც მისი მეშვეობით სავსებით შეიძლება ჩვენი ისტორიის შესწავლა. ასეთი დონის გამოფენებით კი, სამწუხაროდ, ნამდვილად არ ვართ განებივრებულები.

ვლადიმერ კანდელაკის ამ შესანიშნავი ვერნისაჟიდან რეპორტაჟი მინდა მისასალმებელი სიტყვით გამოსული მხატვრის, ერთ-ერთი დარბაისელი ჩოხოსანი მეგობრის, ბატონი **ჯალაღონიას** ერთობ საგულისხმო სიტყვებით დავასრულო:

– გასაოცარი გრძნობებით ვარ აღსავსე! ცისფერ გალერეაში სრულიად ფხიზელი კაცი მოვედი და გამოფენის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილებებისგან გვარიანად „შეზარხოშებული“ მივდივარ შინ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს ვოვას!

ოთარ ტურაბელიძე

საქმეთა შეთანხმება

წინასაშობაო დღეებში სამცხე-ჯავახეთში მილოცვებს იღებენ, სადაც მუნიციპალიტეტის მერის ვარლამ წიკლაურისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვიქტორ სანიკიძის მისამაძი თანამშრომლობით ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკვდა.

დიახ, სპორტის ახალციხელმა მოყვარულებმა ერთდროულად იზეიმეს როგორც ქალაქის ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის გახსნა, ისე იქაური კლუბის „ახალციხის“ საკალათბურთო სუპერლიგაში აღზევება. **ვულოცავთ!**

* * *

მას შემდეგ, რაც რუსთავის საკრებულოში ნაციონალთა და გახარიელთა კოჰაბიტირებული სარეველა დაიშალა, ქალაქის მერიას კეთილ საქმეთა კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით საკეთებლად, რომ იტყვიან, ხელ-ფეხი გაეხსნა.

ჰოდა, ქალბატონმა **ნინო ლაცაბიძემ,** სხვა დარგების მსგავსად, მთავრობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულად გამოცხადებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღმშენებლობისათვის ლომოურის ქუჩის ძველი სარაგბო მოედანი შეარჩია, სადაც დაახლოებით 3-მილიონიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გაისად ახალი კეთილმოწყობილი სტადიონი დაამშვენებს უბანს.

ბუნებრივია, ლიდერს მხარში თანამოაზრეთა მთელი არმია უდგას საკრებულოს თავკაც **მამუკა რეხვიაშვილის** ხელმძღვანელობით, ხოლო თუ რა შეუძლია ძალას ერთობაში, რუსთავ-ქალაქში უკვე განხორციელებული სამშვილიშვილო პროექტები ადასტურებს.

გვიმრავლოს!



არც ბაზა, არც ვიზა

მილანის ზამთრის ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე ლიცენზიების მოსაპოვებლად ქართველი მოცურავეებიც ემზადებიან, მაგრამ მათ მოულოდნელი დამატებითი პრობლემა უკანასკნელ მომენტში შეექმნათ, თანაც მაშინ, როცა შინ სავარჯიშო ბაზაც კი არ გააჩნიათ.

იტალიაში ერთეულებში, 26 სპორტსმენი, ხოლო წყვილებში 18 დუეტი იბრძოლებს მედლებისთვის, ასეთი შეზღუდული რაოდენობა კი კიდევ უფრო ზრდის დამდეგ თეთრ თამაშებში მონაწილეობის მსურველთა შორის კონკურენციას.

ყოველივეს გათვალისწინებით, რჩეულთა გამოსავლენად სულ 5 საკვალიფიკაციო ეტაპი ჩაინიშნა, საიდანაც მომავალი ფორუმის სარგებელზე – კონტინა დამპეცოს ხუთრგოლიან ტრასაზე **ლუკა მიქაბერიძემ, საბა ხაჩიძემ** და **ლუკა მჭედლიანმა** უკვე მოსინჯეს ძალები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკის საელჩოდან ვიზების გაცემაზე მიღებული უარის გამო პარკ სიტისა და ლეიკ პლესიდში ისინი ვერ გაემგზავრნენ.

მართალია, ამით საგრძნობლად გაგვირთულდა მიზნის მისაღწევი შანსები, მაგრამ ბიჭები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, დასკვნითი ასპარეზობები კი, შესაბამისად, ლატვიურ სიგულდაში (3-4 იანვარს) და გერმანულ ვიტენბერგში (10-11 იანვარს) ელით.

სხვათა შორის, ჯვაროსნებმა ამას წინათ ისარგებლეს შესაძლებლობით და ავსტრიაში ახალგაზრდულ მსოფლიო თასზე მიიღეს მონაწილეობა, 17-18 იანვარს კი, დაფინანსების შემთხვევაში, ობერჰოფში გერმანულ ევროზე ჩავლენ.

ვეჩვევით ძვირფას მედლებს!

2025 წელს წარმატებებით აცილებენ ქართველი მაგიდის ჩოგბურთელები, რაც იმედს გვიღვიძებს, რომ ეს სახეობა კვლავაც პოპულარული გახდება და ძველ დიდებას დაიბრუნებს.

ჩვენმა მომავალმა თაობამ განსაკუთრებით მიმავალი სპორტული სეზონის მეორე ნახევარში იყოჩაღა, რაშიც ახლავე დაგარწმუნებთ.

სექტემბერი. მსოფლიოს ახალგაზრდული სერია. **ვერცხლი** – ელენე ქობალია (11-წლამდელები). **ბრინჯაო** – ანასტასია ჩხარტიშვილი (19-წლამდელები).

ოქტომბერი. ლიეტუვა. მსგავსი ტურნირი. **ოქრო** – ანასტასია ჩხარტიშვილი. **ბრინჯაო** – ელენე ქობალია, ანდრია ჩხარტიშვილი (14-წლამდელები).

დეკემბერი. დამამი (საუდის არაბეთი). მსოფლიოს ახალგაზრდული სერია. შერეულ წყვილთა თანრიგი. **ბრინჯაო** – ანასტასია და ნიკოლოზ ჩხარტიშვილები (19-წლამდელები).

აარონ იაკობაშვილის გაბრწყინება

„ბარსელონას“ ნიჭიერი მეკარე აარონ იაკობიშვილი „ანდორაში“ კარგ სეზონს ატარებს და კლუბების ყურადღებაც მიიპყრო.

როგორც ფაბრიციო რომანო იტყობინება, 19 წლის ფეხბურთელით იტალიური და გერმანული კლუბები არიან დაინტერესებული და აქტიურად აკვირდებიან. „ბარსელონა“ აპირებს, რომ ნიჭიერ მეკარეზე მომავლისთვის კონტროლი შეინარჩუნოს.

აარონ იაკობიშვილი ქართული წარმომავლობის მქონე მეკარეა, რომელიც უნგრეთში დაიბადა და ამავე ქვეყნის მოქალაქეა. მას უნგრეთის 17 და 18-წლამდელთა ნაკრებებში აქვს ნათამაშები. ლა ლიგა 2-ის მიმდინარე სეზონში აარონ იაკობიშვილმა 14 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და სამჯერ კარის მშრალად შენახვაც შეძლო.

* * *

გრაციის „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი იურგენ ზაუმელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მიზეზი წარუმატებელი შედეგები.

ზაუმელი „შტურმში“ 2024 წლის ნოემბრიდან მუშაობდა და გასულ სეზონში გუნდს ავსტრიის ჩემპიონატი მოაგებინა, მაგრამ მიმდინარე სეზონის პირველი ნაწილი გრაცელელებს ჩაუვარდათ: ავსტრიის ჩემპიონატში მესამე ადგილზე არიან ლიდერთან ოთხქულიანი ჩამორჩენით, ხოლო ევროპალიგაზე 6 ტურის შემდეგ 4 ქულით 29-ე ადგილს იკავებენ.

ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, ვინ გახდება „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი და შესაბამისად, ვისთან მოუწევთ მუშაობა **ოთარ კიტეიშვილს** და გრაცელთა ახალწვეულ **გიზო მამაგეიშვილს.**

„შტურმი“ ზამთრის პაუზაზეა და უახლოესი ოფიციალური მატჩი ერთ თვეში აქვს, ამრიგად, ახალ მწვრთნელს თავისი იდეების გასატარებლად საკმარისი დრო ექნება.

* * *

„ნაპოლი“ იტალიის სუპერთასის გამარჯვებულია. ანტონიო კონტეს გუნდმა ფინალში „ბოლონია“ 2:0 დაამარცხა და წელი ტიტულით დაასრულა. დუბლი ნერესმა შეასრულა.

მატჩის დასრულების შემდეგ ანტონიო კონტემ ჟურნალისტებთან ისაუბრა და წარმატება შეაფასა.

„ჩვენ ძალიან კარგი სერია გვქონდა – გასულ სეზონში საუდეტო მოვიგეთ, ნახევარფინალში ისეთი გუნდი დავამარცხეთ, როგორიცაა „მილანი“, თუმცა ისტორიას მხოლოდ გამარჯვებულები ახსოვს და მიხარია, რომ ეს შევძელით. ფეხბურთში ერთადერთი რამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ესაა გამარჯვება, რადგან როგორც მწვრთნელის, ისე ფეხბურთელის კარიერის დროს მევრი ფინალი წამიგია და ვიცი, რომ წაგებული ფინალისტი არც თუ ბევრ ადამიანს ახსოვს. სწორედ ეს მწარე გამოცდილება გაძლევს მოტივაციას, რომ გაიზარდო და ის შეცდომები აღარ გაიმეორო“, – განაცხადა კონტემ.

„ნაპოლიმ“ ისტორიაში მესამედ მოიგო იტალიის სუპერთასი (1990, 2014, 2025). შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში „ნაპოლიმ“ „მილანი“ დაამარცხა, ხოლო „ბოლონიამ“, „ინტერს“ აჯობა.

სეზონის რჩეული

ტელეკომპანია ESPN-მა, რომელიც 2025 წლის ჩათვლით ორგანიზაცია UFC-ს ოფიციალური პარტნიორი იყო, გასული წელი შეაჯამა და წლის საუკეთესო მამაკაცი მებრძოლად სუპერმსუბუქი დივიზიონის (61კგ) ყოფილი ჩემპიონი მერაბ დვალიშვილი დაასახელა.

„შესაძლოა, ვიდავოთ კიდეც, მერაბ დვალიშვილმა ზედმეტი ხომ არ აიღო საკუთარ თავზე, მაგრამ ეს ვერ შეცვლის მთავარს – ყოფილ ჩემპიონს მართლაც გამორჩეული წელი ჰქონდა. დვალიშვილმა 2025 წელი უმარ ნურმაგომედოვთან ბრძოლით გახსნა, სადაც მეტოქეს აშკარად აჯობა და საღამოს საუკეთესო ჩხუბის ბონუსიც მიიღო. ამის შემდეგ შონ ო'მალის შეხვდა და ვადამდელი გამარჯვება გაიფორმა. ამას მოჰყვა კორი სენდჰეგენთან ნამდვილი „მასტერკლასი“ UFC 320-ზე.

რაც შეეხება პიოტრ იანთან მარცხს, უცნობია, მიზეზი მერაბის გადაღლა იყო თუ იანის მხრიდან შეცვლილი ტაქტიკა, თუმცა დვალიშვილის გამმედაობა აღნიშვნის ღირსია – მან ერთ წელიწადში ოთხი ბრძოლა ჩაატარა და ეს იმ ეპოქაში, როცა ჩემპიონები წელიწადში ორჯერაც იშვიათად ჩხუბობენ – სწორედ ეს გამოარჩევს მას სხვებისგან“, – წერს ESPN-ი.

მერაბ დვალიშვილმა UFC-ს საჩემპიონო ქამარი 2024 წლის სექტემბერში მოიპოვა და შემდეგ სამჯერ დაიცვა. 7 დეკემბერს მან ის პიოტრ იანთან ბრძოლაში დათმო.

მათეს 29 ქულა

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების 17 წლის წევრი, მათე ხატიაშვილი ესპანეთის ასაკობრივ ტურნირებში უმაღლეს დონეზე თამაშობს. მათე გასკონიას როგორც ევროლიგის, ისე ესპანეთის უმაღლესი ლიგის ძირითადი გუნდის განაცხადშია, თუმცა თამაში მხოლოდ ასაკობრივ გუნდში უწევს.

ამ დღეებში ესპანეთში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომლის ფინალშიც გასკონია 82:92 დამარცხდა მადრიდის რეალთან, თუმცა მათე ხატიაშვილი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. მათემ შეხვედრა 29 ქულით, 10 შედეგიანი გადაცემითა და 5 მოხსნით დაასრულა.

შედეგიანი იყო მათე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში, ბარსელონასთანაც. ქართველმა გამთამაშებელმა შეხვედრა ორმაგი დუბლით დაასრულა. მათემ 18 ქულა, 10 პასი და 5 მოხსნა მოაგროვა, გასკონიას 70:63 მოაგებინა და ფინალში გაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ მათემ ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩში, რომელიც **ალექსანდარ ჯიკიჩის** გაწვრთნილმა გუნდმა ტენერიფეში ესპანეთთან ჩაატარა, 21 წუთში 10 ქულა, 3 პასი და 1 მოხსნა მიითვალა.

საფრანგეთის სტარ ლიგის მე-15 ტური წარმატებული გამოდგა „ექს ან პროვანსისთვის“ და ნიკოლოზ კალანდაძისთვის. ქართველი ლეგიონერის გუნდმა ბოლოადგილოსანი „ისტრი“ მიიღო საკუთარ კედლებში და 28:24 დაამარცხა. კალანდაძემ მოედანზე 29 წუთი ითამაშა, ერთი გოლი გაიტანა და ექვსი ასისტი შეასრულა.

ისლანდიაში **გიორგი დიხამინჯიას** „აკიურეირმა“ ქვეყნის ჩემპიონატის მე-15 ტურში „კოუპავოგური“ მიიღო და 30:27 მოუგო. „აკიურეირის“ ქართველი ლეგიონერი ორივე გუნდიდან ერთ-ერთი შედეგიანი იყო. დიხამინჯიამ ექვსი ბურთი გაიტანა.

„აკიურეირისთვის“ წარმატებული იყო ისლანდიის თასის მეოთხედფინალიც. დიხამინჯიას გუნდმა „ფრამს“ უმასპინძლა და 30:25 დაამარცხა. ქართველი ლეგიონერის ანგარიშზე ხუთი გოლია.

პოლონეთის სუპერლიგის მე-16 ტურში **ზურაბ ცინცაძის** „ლეგიონოვოსა“ და „კალიშს“ შორის შეხვედრა ფრედ – 22:22 დასრულდა.

სახელბურთო ამბები

დაინიშნა პენალტების სერია, აქ კი ცინცაძის გუნდი აღმოჩნდა საუკეთესო, რომელმაც 6:5 მოიგო. საქართველოს ნაკრების მეკარის ანგარიშზე 13 სეივია.

„ლეგიონოვომ“ მე-17 ტურის მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ცინცაძე და კომპანია „ვიბრუეზეს“ ეწვია და 26:34 დამარცხდა. „ლეგიონოვოს“ ქართველი მეკარის აქტივში ოთხი სეივია.

„ოსტროვია“ და **მირიან გავაშელიშვილი** სუპერლიგის მე-17 ტურში „პიოტრკოვიანინს“ ეწვია და 29:21 მოუგო. თანაგუნდელებს ორი გოლით დაეხმარა გავაშელიშვილი.

სანთელი

ნანა ყანდაშვილი

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ დიდი მწუხარებით იუწყება, რომ სს „თბილქალაქმშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ვაჟა ადეიშვილს გარდაეცვალა მეუღლე, ქალბატონი

ნანა ყანდაშვილი

საზოგადოების პერსონალი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის მეუღლეს, ბატონ ვაჟას, შვილებს – ქეთევანს და მიხეილს, შვილიშვილებს და ნათესავებს.

თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ირმა ხარანაული, თანგული ფირცხალავა, რევაზ გუნცაძე, ზაზა კუპრაშვილი, ვაჟა ფურცელაძე, გოდერძი ედიშერაშვილი, მელიტონ ქურციკიძე, გიორგი ქურციკიძე, ალექსანდრე სეხნიაშვილი, მიხეილ მხოიანი, ნელი ხიზანიშვილი, ნინო ჩიგოგიძე, ემა სალიმიანი.

დედაქალაქის 2026 წლის ბიუჯეტი 2 193 388 700 ლარს შეადგენს

თბილისის საკრებულომ ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი – 2026 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

დოკუმენტის განხილვამდე საკრებულოს წევრებს სიტყვით დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მიმართა და გასული წლის საქმიანობის ანგარიში გააცნო, ხოლო ბიუჯეტის მთავარი პარამეტრები თბილისის ვიცე-მერმა გიორგი ტყემალაძემ წარადგინა.

დედაქალაქის **2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საერთო მოცულობა შეადგენს 2 193 388 700 ლარს, რომელიც 210 210 700 ლარით მეტია 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.**

ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა შემდეგნაირია: **საკუთარი შემოსულობები – 1 533 357 600 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი – 630 000 000 ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები, სესხის ფარგლებში დასაფარი დღგ-ის ჩათვლით – 25 480 000 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 4 551 100 ლარი.**

ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიხედვით, მომავალ წელს პრიორიტეტული მიმართულებები კვლავ ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვა იქნება. **კერძოდ, ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 572 920 000 ლარი და იგი 2026 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობის 26%-ს შეადგენს.**

რაც შეეხება **სოციალურ და ჯანდაცვის მიმართულებას, ამ მხრივ დაგეგმილია 601 712 500 ლარის დახარჯვა, რაც 2025 წელთან შედარებით, 67 859 100 ლარით მეტია. სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები ბიუჯეტის 27%-ს შეადგენს.**

გარდა ამისა, **სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 168 000 000 ლარის დონორული დაფინანსება.**

მომავალ წელს იწყება და გრძელდება ბევრი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტი, მათ შორის: ტრამვაის ხაზის პროექტირება და მშენებლობა; სამგორი–ვაზისუბნის დამაკავშირებელი საბაგირო გზა; რუსთაველის გამზირის სრული რეაბილიტაცია; ახალი ხიდების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება; სპორტული კომპლექსებისა და რეკრეაციული სივრცეების განვითარება; სკვერებისა და პარკების მოწყობა/რეაბილიტაცია; ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების გაუმჯობესება.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი წილი უკავია რაიონული გამგეობების დაფინანსების ნაწილსაც. **კერძოდ, ამ მიმართულებით გამოიყოფა 298 933 900 ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 24 095 100 ლარით მეტია.**

2026 წლის ბიუჯეტით ასევე განხორციელდება: საბურთალოს რაიონში, მდინარე დიღმულაზე მდებარე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის დემონტაჟი და ახალი გადასასვლელი ხიდის მშენებლობა; სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება/მშენებლობა; ახალი ლიანდაგმზომის შეძენა; დიღმის მასივში სპორტული კომპლექსის მშენებლობა; „ამერის“ სპორტული კომპლექსის (მოედნების) სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; მუხიანის რაგბის კომპლექსის მოედნების რეაბილიტაცია; ბაგებში დახურული ფეხბურთის მოედნის, ღია საცურაო აუზებისა და პადელის მოედნების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია (მათ შორის დიღმის ჭალები, პირველი რესპუბლიკის პარკის რეაბილიტაცია); თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების დამუშავების სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები.

რაც შეეხება დანარჩენ მსხვილ პროექტებს, ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებულია:

ე.წ. სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა; ვაკის პარკის შადრევნების კასკადის რეაბილიტაცია; ოთხი საბავშვო ბაღის მშენებლობა; ავარიული სახლების ჩანაცვლება (მათ შორის გრძელდება სამი სახლის მშენებლობა; ჭადრაკის სასახლის რეაბილიტაცია; სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩების რეაბილიტაცია (კომუნიკაციების ჩათვლით); თაბუკაშვილის ქ. N51-ის რეაბილიტაცია; ნარიყალას ციხის რეაბილიტაცია; ნიკო ფიროსმანის N29 რეაბილიტაცია; საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა; აღმაშენებლის გამზირის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია; წყნეთისა და კოჯრის ცენტრების რეაბილიტაცია; ერისთავის ქუჩაზე სატრანსპორტო კვანძის რეაბილიტაცია; საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია; ილიას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია; გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში; „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება.

სულთათანა

ვაჟა ხორნაული



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ ძალზე დასანანი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ვაჟა გიორგის ძე ხორნაული.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა დიდებული შემოქმედი და პიროვნება, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მწერლობას, ქართულ პოეზიას, მშობელ ერსა და სამშობლოს. ვაჟა ხორნაულმა ბოლომდე უერთგულა დიდი ილია მართლის – ილია ჭავჭავაძის ტრიადას – მამული, ენა, სარწმუნოება და დარწმუნებული ვართ, რომ პირნათელი და ვალმოხდილი მიეახლება მისი დიდი წინაპრების სულებს...

ვაჟა ხორნაული დაიბადა 1948 წლის 4 აგვისტოს დუშეთის რაიონის სოფელ კაწალხევში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც დაასრულა 1972 წელს.

მას შემდეგ ვაჟა ხორნაული სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „მერანში“, ჟურნალ „ცისკრისა“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციებში და ყველგან საოცარი შრომისმოყვარეობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. ყველგან დამსახურებული სიყვარულით და აღიარებით სარგებლობდა...

ვაჟა ხორნაულის ლიტერატურული დებიუტი 1968 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „სინათლესავით“. სწორედ სინათლისაკენ სწრაფვა, სათნოების, სიყვარულის, სიკეთის იდეალების ერთგულება იქცა ამ მშვენიერი შემოქმედის ლიტერატურული ნააზრევის ლაიტმოტივად, მისი არსებობის გამართლებად.

მას შემდეგ თითქმის ექვსმა ათეულმა წელმა განვლო და ჩვენ თვალწინ ვაჟა ხორნაული იქცა XX-XXI საუკუნეების ქართული პოეზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად, მის ორგანულ ნაწილად.

მისი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ცა გაზაფხულის ტოტებში“, „ჯერ ნაპირამდე შორია“, „ჯერ გულში იბადებოდა“, „ცის და მიწის სინათლეში“, „სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაიელვებს“, „ყვავილი ღმერთის უბეში“, „დაგცადე ათასფერადა“, „სასწაულები ისევ გრძელდება“, „ასი ლექსი“, „ვარსკვლავიანი სარკმელი“, „როცა ცა გიახლოვდება“, „რჩეული“, „გულს მუდამ ახსოვხარ“, „თუ უკვდავების ვიპოვე წყარო“, „სიყვარულის ძაფზე ჩამოქნილი სიცოცხლის სანთელი“ და სხვები, მარად მაძიებელი სულის მქონე შემოქმედის ტვიფარითაა დაღდასმული. ამიტომაც შეიყვარა ისინი გემოვნებიანმა ქართველმა მკითხველმა, თუნდაც იმიტომ, რომ ვაჟა ხორნაულის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სწრაფვით ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ, თავისთავადობისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ. მის პოეზიაში შეხვდებით იმ ტკივილებს, ვარამსა და დარდს, რითაც სავსე იყო პოეტის სათაყვანებელი სამშობლოს ისტორია. დიახ, ვაჟა ხორნაულის ლექსი მთის წყაროსავით ანკარა და სუფთა იყო, რადგანაც მის სულში მუდმივად ხარობდა სამოთხის ყვავილი და სიხარულად თუნდაც ის ყოფნიდა, რომ სულ რაღაც ერთი ხელის გაწვდენაზე იყო ცა, საიოკენაც გამუდმებით ეწეოდა მისი ლამაზი სული...

ვაჟა ხორნაულის საუკეთესო ლექსები თარგმნილია სომხურ, რუსულ, რუმინულ, უკრაინულ ენებზე, შესულია არაერთ მნიშვნელოვან ანთოლოგიაში...

ქართველი მკითხველი სწორედ მისი თარგმანებით გაეცნო გრიგორი სკოვოროდას იგავ-არაკებს, მიკოლა ბაჟანისა და ჰაინალქა ბაბირაქის ლექსებს.

ვაჟა ხორნაულის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრესტიჟული პრემიებით აღინიშნა.

ეს დიდებული შემოქმედი ჩვენთვის – მისი მეგობრებისთვის მუდამ ვაჟკაცობის, ქედუხრელობის, თავმდაბლობის და მოკრძალების ეტალონს წარმოადგენდა.

ქართველ მწერლებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს დიდხანს ემახსოვრებათ ვაჟა ხორნაული – დიდებული პოეტი, მოღვაწე, ღირსეული პატრიოტი მშობელი ქვეყნისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დიდებული „ბასიანი“ 25 წლისაა!

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ჯანსუღ კახიძის სახელოგის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი გაიმართა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ანსამბლმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები და თანამედროვე პროფესიული საგუნდო ნაწარმოებები შეასრულა. ღონისძიებას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, მინისტრის პირველი მოადგილე მაკა გურგენიძე და მოადგილე გიორგი მირცხულავა დაესწრნენ.

„ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც „ბასიანი“ ჰყავს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს შესანიშნავი ანსამბლი კიდევ დიდხანს ემსახურება ქართულ ხელოვნებას და საქართველოს სახელის გატანას მთელ მსოფლიოში“, – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**



ოტია იოსელიანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა „გაამდიდრა“

თსუ-ის ბიბლიოთეკამ განსაკუთრებული საჩუქარი მიიღო – ოტია იოსელიანის ოჯახის წევრებმა უნივერსიტეტს მწერლის პირადი ნივთები, ხელნაწერები და გამოცემები გადასცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ოტია იოსელიანის 95 წლისადმი მიძღვნილ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე მწერლის ახლობლებმა ოტია იოსელიანის საინტერესო ცხოვრებისეული დეტალები გაიხსენეს.

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში მწერლის შემოქმედების უკეთ გაცნობა, მისი მნიშვნელობის ხაზგასმა და ახალი ხედვების გაზიარება. ღონისძიების ორგანიზატორია თსუ ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის „მეგობართა კლუბი“.

ანსამბლ „მარგალიტის“ სოლო კონცერტი – „შეხვედრა საშობაოდ“

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრში ანსამბლ „მარგალიტის“ სოლო კონცერტი – „შეხვედრა საშობაოდ“ გაიმართა.

„ვულოცავ „მარგალიტს“ პირველ საიუბილეო თარიღს. ასეთი ჯგუფების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, ანსამბლისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება“, – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტზე, რომელიც ანსამბლის ხუთი წლის იუბილეს მიეძღვნა, შესრულდა ხალხური და ქალაქური სიმღერები, ქართული საგალობლები და მსოფლიოში ცნობილი საშობაო სიმღერები (Christmas Carol).

კონცერტს კულტურის **მინისტრი თინათინ რუხაძე** დაესწრო.

„მარგალიტის“ რეპერტუარში შედის ქართული ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა მიმართულების ნიმუშები. ანსამბლს მონაწილეობა მიღებული აქვს საერთაშორისო ფესტივალებში, მათ შორის, ხორვატიაში, საფრანგეთსა და იტალიაში.

ხელოვნების სასახლე გამოფენას უმასპინძლებს

25 დეკემბერს, 19.00 საათზე, ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში გაიმართება გამოფენა – „ახალი და უახლესი ქართული მხატვრობა“.

ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, გამოფენა ეძღვნება ხელოვნების სასახლის დამაარსებლის დავით არსენიშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ბოლო 10 წელიწადში ხელოვნების სასახლის მიერ შეგროვებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ახალი და უახლესი ქართული მხატვრობის ისტორიას ასახავს. გამოფენაზე ასევე მოხდება საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაბეჭდილი ლ.ჭიჭინაძის წიგნის „დიმიტრი თავაძე“ და გ.კალანდიას მიერ შედგენილი კატალოგის „ხელოვნების სასახლე“ პრეზენტაცია.

„თუშეთი – წარმართობისა და ქრისტიანობის გზაგასაყარზე“

სიმონ ჯანაშიას სახელოგის საქართველოს მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „თუშეთი – წარმართობისა და ქრისტიანობის გზაგასაყარზე“.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ექსპოზიციამ პირველად წარუდგინა საზოგადოებას თუშეთში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური მასალა – საკულტო ნივთები, სამკაული, XIX–XX საუკუნეების ფოტომასალა და სხვა არტეფაქტები.



ყველაფერი ეს მოგვითხრობს, როგორ თანაარსებობდა შუა საუკუნეების თუშეთში წარმართული ტრადიციები და ქრისტიანული სარწმუნოება და როგორ ჩამოყალიბდა რეგიონის მრავალფენოვანი კულტურული იდენტობა. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოში იტალიის საელჩოს ხელშეწყობით.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**

sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგებჯდილ, ან უცხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
26 დეკემბერს**